ალია

»N153/3083/ 16 ოქტომბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი – ქრონიკა; სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი – ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

# ნინო ბურჯანაძე: „საქართველოს ხელისუფლების გაუბედაობა და უსუსურობა გვაკარგვინებს ქვეყნის გამთლიანების შანსს!“

# ნონა გაფრინდაშვილი „სახალხო კრების“ თავმჯდომარეობას ტოვებს

რას აპირებენ ელიზბარ ჯაველიძე და გია ბურჯანაძე

# ვალერი გელბახიანი „ალიას“ მოსალოდნელ აქციებსა და დამფინანსებლებზე კულუარულ ინფორმაციას უმხელს

თუ ამერიკის ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ საჭიროა პოლიტიკური ღონისძიებების გატარება, ჩვენ ვიხილავთ კიდევ ერთ რევოლუციას საქართველოში!..

რის გამო შეიძლება დაიჭირონ ალასანია?




# რატომ აწყობს ირაკლი ალასანიას მინისტრის პოსტიდან გადადგომა

# სააკაშვილის პრეზიდენტობის დროინდელი საიდუმლო თათბირების ჩანაწერები!!!

ვის აწყობს აუდიოფაილების ინტერნეტში გავრცელება



# საქართველოში ახალი ნარკოტიკები „სირეცი“ და „ბანზაი“ ველოსიპედებით და ტელევიზორებით შემოაქვთ

რატომ ვერ იღებენ სუნს დაგეშილი ძაღლები?

## გატაცებულ გიორხელიძეს მომღერალ ზურა კობეშავიძის აგარაკზე მალავდნენ



„რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იოსებ გიორხელიძეს გამტაცებლები მომღერალ ზურა კობეშავიძის აგარაკზე მალავდნენ, რომელიც არმაზში მდებარეობს. თუმცა, სახლის მფლობელებმა ამის შეახებ არაფერი იცოდნენ. ზურაბ კობეშავიძის მშობლები ამბობენ, რომ მათ არც გატაცებულისა და არც გამტაცებლების შესახებ არ აქვთ ინფორმაცია. როგორც ამბობენ, მათ არც საკუთარ აგარაკზე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებზე იცოდნენ რამე.

საქმე ის არის, რომ პროკურორმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ გატაცებული არმაზში მდებარე ერთ-ერთ აგარაკზე ჰყავდათ დამალული, რომელიც ვინმე ჭუმბურიძეს ეკუთვნოდა. პროკურატურის მიერ გავრცელებულ ფოტომასალაზე ასახული სახლი კობეშავიძეების აგარაკის იდენტური ჩანს. „კურიერის“ ჯგუფს, რომელიც ამ სახლში იმყოფებოდა, ჯერ დაუდასტურეს, რომ ეს სახლი მართლაც ვინმე ჭუმბურიძეს ეკუთვნოდა. თუმცა, მოგვიანებით ეს ინფორმაცია უარყვეს და თქვეს, რომ სახლი მომღერალ კობეშავიძეს და მის მამას ეკუთვნის, რომელსაც პოლიციელის წოდებაც აქვს. კობეშავიძეები ამბობენ, რომ მათ აგარაკზე საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა. „არავის უთქვამს ჩვენთვის და ვინც ჩაატარა ოპერაცია, ისინი არიან დასაჭერები“, – განაცხადა ჰამლეტ კობეშავიძემ. (ნიუპოსტი)

## ყოფილი გუბერნატორის შვილი დააყაჩაღეს



14 ოქტომბერს ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე რაჭის ყოფილი გუბერნატორის, ოთარ სირაძის შვილსა და მის მეგობარს, მობილური ტელეფონები წაართვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გამოძიება დაწყებულია, თუმცა რა მუხლით არის აღძრული საქმე, ჯერჯერობით არ კონკრეტდება.

ოთარ სირაძის განცხადებით, მის არასრულწლოვან შვილსა და მისი შვილი მეგობარს 14 ოქტომბრის დაახლოებით საღამოს ცხრის ნახევარზე ჭავჭავაძის გამზირზე ვაკის ეკლესიის მიმდებარედ ორი მამაკაცი (დაახლოებით 25-30 წლის) დახვდა, მათ მოზარდებს ტელეფონი სთხოვეს, იმ საბაბით, რომ ახლობელთან დარეკვა სურდათ, ერთ-ერთმა მოზარდმა ტელეფონი დასარეკად გადასცა ერთ-ერთ მამაკაცს, რომელმაც ტელეფონიდან რამდენიმე ზარის განხორციელება სცადა და ბოლოს განაცხადა, რომ არ პასუხობდნენ, რის შემდეგაც მან მოზარდებს ტელეფონის შესახებ საუბარი დაუწყო. „კარგი ტელეფონია, 100 დოლარად დალომბარდდება და თქვენი სახელით კაი ბიჭებს გავუგზავნით“. – განუცხადეს არასრულწლოვნებს. მამაკაცებიდან ერთ-ერთმა ტელეფონის ჩვენება მეორე მოზარდსაც მოსთხოვა და ისეთი მოძრაობები გააკეთა, რომ მოზარდებს ეგონათ, ჯიბიდან დანას იღებდა. რის შემდეგაც მეორე მოზარდსაც გამოართვეს ტელეფონი.

იმ მომენტისთვის მოზარდებიდან ერთ-ერთმა ბიძაშვილთან დაკავშირება მოახერხა, რომელიც შემთხვევის ადგილზე მივიდა და ტელეფონების დაბრუნება მოითხოვა. ამის შემდეგ დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. საბოლოოდ მათ ტელეფონების გატაცება და მიმალვა მოახერხეს. მოზარდების განცხადებით, ამ ინციდენტს თვალს ადევნებდა იმ ტერიტორიაზე მდებარე საელჩოს დაცვაც, რომელიც ინციდენტში არ ჩაერია და არც საპატრულო პოლიციაში დარეკა.

როგორც ოთარ სირაძე აცხადებს, ადგილზე მისული სამართალდამცავები ცდილობდნენ, რომ საქმისთვის ყაჩაღობის ნაცვლად, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ თაღლითურად დაუფლების კვალიფიკაცია მიენიჭებინათ. მოზარდები დაკითხვაზე იმყოფებოდნენ, გამოძიებას არ დაუკითხავს საელჩოს დაცვა. მათი განცხადებით, დიპლომატიური სამსახურის დაცვას ამას სამსახური უკრძალავს.

„საქმე აუცილებლად უნდა იქნას გამოძიებული, რადგან დღეს საქმე ეხება ჩემს შვილს, მაგრამ ხვალ სხვასაც შეეხება, როგორც შევარდნაძის დროს იყო, ჯერ ერთს გახადეს ტყავის ქურთუკი და ხმა რომ არ ამოიღო, მერე მთელი ქვეყანა გაძარცვეს“. – აცხადებს ოთარ სირაძე. (ნიუპოსტი)



## თბილისში ქუჩიდან გატაცებული ავტომობილი ნაპოვნია

14 ოქტომბერს, 20:00 საათზე თბილისში, ევდოშვილის ქუჩიდან გატაცებული „ოპელის“ მარკის ავტომობილი ნაპოვნია. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დამნაშავის დასაკავებლად საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით აღიძრა, რაც ქურდობას ითვალისწინებს. (ფრონტნიუსი)

## თბილისში ივანიშვილის მეგობარი, მილიარდერი მაშკევიჩი იმყოფებოდა



15 ოქტომბერს თბილისში ცნობილი ბიზნესმენი ალექსანდრე მაშკევიჩი იმყოფებოდა. ისრაელში მოღვაწე მილიარდერი საქართველოში ინვესტიციების განხორციელებას, სავარაუდოდ, ფარმაცევტულ სფეროში გეგმავს. მან ქართველ მინისტრებთან, დავით სერგეენკოსა და გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრები გამართა, რომელსაც უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე და ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილიც ესწრებოდნენ.

რესტორან „ფაეტონში“ გამართული არაფორმალური შეხვედრის შემდეგ თავად მაშკევიჩს საქართველოში მის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

როგორც ცნობილია, მაშკევიჩი საქართველოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის მეგობარია. ის საქართველოში შარშანაც იმყოფებოდა და ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი „თანაინვესტირების ფონდის“ ერთ-ერთ დამფუძნებლადაც სახელდება. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...



## საქართველოში მიწისძვრა მოხდა

საქართველოში მიწისძვრა მოხდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, 3,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა რაჭაში დაფიქსირდა, ეპიცენტრი ქალაქ ონიდან დასავლეთით, 6 კილომეტრში მდებარეობდა. ნგრევის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება. (ინტერპრესნიუსი)

## ბუნებრივი აირით ქალბატონი მოიწამლა




ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მოწამლული 83 წლის ქალის მდგომარეობაზე ექიმები ჯერჯერობით პროგნოზს ვერ აკეთებენ.

რესპუბლიკური საავადმყოფოს ცნობით, 83 წლის ქალის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. ის კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება და აპარატზეა შეერთებული. ექიმებს პაციენტის სიცოცხლის მდგომარეობასთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთება უჭირთ.

შემთხვევა ხვიჩიას ქუჩაზე №23-ში მოხდა. მცხოვრებლებმა ბუნებრივი აირის სუნი შეიგრძნეს, რის შემდეგაც სამაშველო სამსახური გამოიძახეს. (ინტერპრესნიუსი)

## გიორგი მარგველაშვილის საგანგებო განცხადება



პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა რუსეთის მიერ მომზადებულ ხელშეკრულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი უწოდა.

„რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება არის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ გადადგმული კიდევ ერთი უხეში ნაბიჯი. ასეთი შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება გააუარესებს უსაფრთხოებას შავი ზღვის აუზსა და კავკასიის რეგიონში. ხელშეკრულების გაფორმება ეწინააღმდეგება ჟენევის კონსულტაციების ფორმატს. ეს ხელშეკრულება საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. ამ ხელშეკრულების ამოქმედების შემთხვევაში გაუარესდება ჰუმანიტარული ვითარება და ადამიანის უფლებათა დაცვა რეგიონში. რეალური საფრთხის წინაშე დადგება, აფხაზების, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, თვითდამკვიდრება და იდენტობის მომავალი.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი არის საქართველოს პარლამენტი, მივმართავ პარლამენტს, უსწრაფეს პერიოდში განიხილოს არსებული ვითარება და შეიმუშაოს პოზიცია. ამ პოზიციაზე დაფუძნებით ჩვენ მოვიწვევთ უშიშროების საბჭოს და დავგეგმავთ შემდეგ ნაბიჯებს ვითარების დასტაბილურებასთან დაკავშირებით. ასევე მივმართავ საერთაშორისო თანამეგობრობას, ადეკვატურად შეაფასონ ვითარება და მისცენ შესაბამისი რეაგირება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ კიდევ ერთ გადადგმულ ნაბიჯს“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ამ განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე გამოეხმაურა:

„მივესალმები პრეზიდენტის ინიციატივას, რომ საკითხი განხილული იყოს უშიშროების საბჭოზე. ასევე მივესალმები მის პოზიციას, პრეზიდენტი თვლის, რომ მისთვის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება ძირითადი და გადამწყვეტი საფუძველი, თუ რა მიმართულებით იმუშავებს შემდეგ უშიშროების საბჭო. (რეპორტიორი)

## ისნის გამგებელს „ნაციონალები“ იბარებენ




თბილისის საკრებულოს ფრაქციები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ნაციონალური მოძრაობა – თბილისი“ ისნის გამგებელს იბარებენ. სხდომაზე ისნის რაიონის გამგეობაში თანამშრომლებზე ზეწოლისა და 2014 წელს დაგეგმილი კონკურს-ატესტაციის საკითხებს განიხილავენ. (პირველი რადიო)

## „კანონიერი ქურდი“ „გოგი პიტერსკი“ საქართველოში გამოაძევეს



რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთიდან საქართველოში „კანონიერი ქურდი“ გიორგი ჯანელიძე, მეტსახელად „გოგი პიტერსკი“ გამოაძევეს.

რუსული ძალოვანი უწყების ცნობით, დეპორტირების პროცესი რუსეთის რამდენიმე ძალოვანმა უწყებამ ერთობლივად ჩაატარა.

„კანონიერი ქურდი“ მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეების ყოფნის რეჟიმის დარღვევისთვის დააკავეს და დროებითი დაკავების იზოლატორში მოათავსეს.

„გოგი პიტერსკის“ საქართველოში დეპორტაცია ტვერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდა. (ფრონტნიუსი)

# ნონა გაფრინდაშვილი „სახალხო კრების“ თავმჯდომარეობას ტოვებს

## რას აპირებენ ელიზბარ ჯაველიძე და გია ბურჯანაძე



„ალბათ, „სახალხო კრების“ თავმჯდომარე სხვა იქნება. ნონა გაფრინდაშვილი დიდი ადამიანია, მისი ავტორიტეტი მოგვაკლდება, მაგრამ წევრად დარჩება და ესეც ერთგვარი შეღავათია. მიზეზი დაღლილობაა, რაც ქალბატონ ნონას ნამდვილად არ აკლდა“

**„ალიას“ 14 ოქტომბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერის, თემურ შაშიაშვილის ინტერვიუ, სადაც ძირითადად საუბარი იყო „სახალხო კრების“ გააქტიურებაზე. ვინაიდან კიდევ დარჩა კითხვები იმასთან დაკავშირებით, როგორი იქნება ეს საზოგადოებრივი მოძრაობა სტრუქტურულად, როგორ მოხდება მისი გაფართოება, რა კატეგორიის ხალხით შეივსება და რაც მთავარია, არსებობს თუ არა შესაბამისი დაფინანსება, „ალია“ „სახალხო კრების“ თავმჯდომარეს, ნონა გაფრინდაშვილს დაუკავშირდა. სამწუხაროდ, ქალბატონმა ნონამ ამ კითხვებზე პასუხების ნაცვლად სულ სხვა რამ გვითხრა:**

– წავიკითხე თემურ შაშიაშვილის ინტერვიუ, არ ვიცი, რას აპირებს ის და როგორ, მაგრამ მე რომ არ გავაქტიურდები, ეს ვიცი.

**— რატომ, „სახალხო კრებაში“ აღარ ხართ?**

– არა, „სახალხო კრებიდან“ ოფიციალურად წამოსული არ ვარ, მაგრამ, საერთოდ, ამდენი ხნის განმავლობაში აღარაფერი გამიკეთებია.

**— თავმჯდომარე ხომ ისევ თქვენ ხართ?**

– კი, თავმჯდომარედ ვითვლებოდი, ვიყავი, მაგრამ, იმ ხალხში, ვისთან ერთადაც ვიბრძოდი, ჩათვალეთ, რომ პირობითად ვიყავი. მე დღეს არ ვთვლი, რომ ვინმეს თავმჯდომარე ვარ. უბრალოდ, ასე მოხდა, ამირჩიეს და რა ვქნა?

**— ესე იგი, თქვენ „სახალხო კრებიდან“ წამოხვედით.**

– არა, წამოვედი, ახლა, რას ნიშნავს? შეიძლება, უბრალოდ...

**— გასაგებია, თქვენ რაღაც ისეთი გაქვთ სათქმელი და ვერ მეუბნებით.**

– გეუბნებით... მე პირდაპირ ვამბობ, გააქტიურებას არ ვაპირებ-მეთქი და ამით ყველაფერი ნათქვამია. მე საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ვთქვი, რომ პოლიტიკაში აღარ ჩავერეოდი.

**— მახსოვს, ეს პირადად მე მითხარით და მაშინ მეგონა, რომ დროებით გაჩუმდით.**

– არა, დროებით არა, ეს იყო საბოლოო გადაწყვეტილება. მეტის თქმა არ შემიძლია.

**მაშ ასე, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი აღარც „სახალხო კრების“ თავმჯდომარეობას აპირებს და აღარც გააქტიურებას. როგორც ამ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ელიზბარ ჯაველიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, „სახალხო კრება“ აუცილებლად გააქტიურდება, ამისთვის უამრავი მიზეზი არსებობს, ქალბატონი ნონა, ალბათ, აღარ იქნება თავმჯდომარე, მაგრამ ის დარჩება წევრად:**

**— ბატონო ელიზბარ, დავიბენი, ნონა გაფრინდაშვილის წასვლას არ ველოდი.**

– მე პირადად ნონასთან ამ საკითხზე დეტალურად არ მისაუბრია, მაგრამ, ალბათ, „სახალხო კრების“ თავმჯდომარე სხვა იქნება. ნონა გაფრინდაშვილი დიდი ადამიანია, მისი ავტორიტეტი მოგვაკლდება, მაგრამ წევრად დარჩება და ესეც ერთგვარი შეღავათია. მიზეზი დაღლილობაა, რაც ქალბატონ ნონას ნამდვილად არ აკლდა. რაც შეეხება „სახალხო კრების“ გააქტიურებას, ეს აუცილებელია, დღეს ქვეყანაში სიტუაცია ისეა აჭრილი, როგორც არასდროს. მიდის პროპაგანდა ყველა ტელევიზიით, „ნაციონალებმა“ უკვე იმდენს მიაღწიეს, ნებისმიერი არხი მათ ემსახურება. „რუსთავი 2“ რაც იყო, ვიცით, მაგრამ მას მიემატა განახლებული „იმედი“, „მაესტრო“ და „კავკასია“. რაც მთავარია, მოღალატეების სამსახურში ჩადგა ე.წ. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, რომელსაც ჩვენი ჯიბიდან ვაფინანსებთ. ამ სიბინძურეზე ხალხმა, საზოგადოებამ ხმა უნდა აღიმაღლოს. გარდა ამისა, ქვეყანა წალეკეს არასამთავრობოებმა, ჩართავ ტელევიზორს და მუდმივად ლაპარაკობენ გიგაურები, კოჟორიძეები და ლომჯარიები, ესენი არიან ყოვლისმცოდნეები. ამ დროს საიდან ფინანსდებიან და ვის მიერ არიან ნაყიდები, კაცმა არ იცის. ამას მიუმატეთ პარლამენტში შეყრილი „რესპუბლიკელები“ და ალასანიას პარტიის წევრები, ეს უჯიშოები და უგვაროები, რომლებსაც დიდი ფრონტი აქვთ გახსნილი ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. ვითომ პროამერიკელები არიან, ვითომ დასავლური იდეები აწუხებთ, სინამდვილეში ესენი არიან რაღაც ჯგუფების ნების აღმსრულებლები და მონები.

**— იმ ადამიანების დიდი ნაწილი, ვინც დღეს ხელისუფლებაშია, 2012 წლამდე ან „სახალხო კრებაში“ იყო, ან თქვენ გვერდით იბრძოდა. თუნდაც გავიხსენოთ 2011 წლის 26 მაისი. საინტერესოა თქვენი აზრი, ისინი დღეს რატომ ვერ ან არ აკეთებენ იმას, რასაც ხელისუფლებაში მოსვლამდე ლაპარაკობდნენ?**

– მეც ვფიქრობ ამაზე, ღამეები არ მძინავს... ერთ მაგალითს გეტყვი, არ მინდა, ახლა გვარი დავასახელო: იყო ერთი ადამიანი ჩვენ გვერდით, ძალიან წესიერი და პატიოსანი, მეგობარი, რომელიც დღესაც მიყვარს შინაგანად, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მიდიან თუ არა, გონება ეცლებათ, სხვანაირები ხდებიან. არ ვიცი, სახელისუფლებო სკამს აქვს ჯადო გაკეთებული? ერთ წუთში იცვლებიან, აღარც ტელეფონზე გპასუხობენ, ნომრებსაც ცვლიან. ვინც ჩვენგან წავიდა, ყველა ძალიან მიყვარს, სოსო ჯაჭვლიანიც, ილაპარაკოს, ასე იყო, ისე იყო, მავანს გავუწიე ანგარიშიო, აზრი აღარ აქვს, ანგარიში უპირველესად უნდა გაუწიო სამშობლოსა და ქვეყანას, მერე კაცობასა და ძმობას. თუკი ხელისუფლებაში მიდიხარ იმიტომ, რომ შენ უნდა იყო ბედნიერი და ცხოვრება მოიწყო, ეს არის ფარისევლობა.

**— დავუბრუნდეთ „სახალხო კრების“ მომავალს, როგორი იქნება სტრუქტურა, ამ მხრივ რამე შეიცვლება?**

– „სახალხო კრება“ აუცილებლად გაფართოვდება, შემოგვემატებიან ახალგაზრდები. ჩვენთან რეზო ესაძით დაწყებული, ყველა ღირსეული ადამიანია, მაგრამ საჭიროა ახალგაზრდების გამოყვანაც. ასევე გაფართოვდება აღმასრულებელი საბჭოც, ყველა მოვლენაზე უნდა ითქვას ხმამაღალი სიტყვა, არ შეიძლება, ყველაფერზე ხმის ჩახლეჩამდე იყვირონ უჯიშოებმა. აგერ, ლუკა კურტანიძეც, ერთად ვიბრძოდით, მაგრამ... მე სოსოს წერილიც გავუგზავნე, როცა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს ერთხმად, მან რაც არ უნდა მოიმიზეზოს, არ ამართლებს. რამდენიც არ უნდა ორი დღის წინ, სვეტიცხოვლობის დღეს დაარბიეს წმიდა ბარბარეს ეკლესია, რომელიმე არასამთავრობომ ხმა ამოიღო? რა გვაძინებს, რა



„იყო ერთი ადამიანი ჩვენ გვერდით, ძალიან წესიერი და პატიოსანი, მეგობარი, რომელიც დღესაც მიყვარს შინაგანად, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მიდიან თუ არა, გონება ეცლებათ, სხვანაირები ხდებიან. არ ვიცი, სახელისუფლებო სკამს აქვს ჯადო გაკეთებული? ერთ წუთში იცვლებიან, აღარც ტელეფონზე გპასუხობენ, ნომრებსაც ცვლიან“

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### კოტე კუბლაშვილის რჩევები თეა წულუკიანს



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრის განცხადებას პასუხობს. კოტე კუბლაშვილი თეა წულუკიანს ურჩევს, მისი უფლებამოსილების ვადების ნაცვლად, მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე იფიქროს.

„რაც შეეხება ვადას, მე არ ვიცი ჯერ, მთავრობაშია, მგონი, ცვლილებები შემოდგომაზე და ხომ არ ჯობია, ჯერ ამაზე იფიქროს. კომპეტენტურობას რაც შეეხება, ეს ძალიან ხშირად გამოჩნდა იმ საქმეებში, რომელიც განიხილეს ჩვენმა მოსამართლეებმა და არა მგონია, რომ არაიურისტმა ადამიანმა შეძლოს მოსამართლის კომპეტენციის შეფასება“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თეა წულუკიანმა განაცხადა: „მოუთმენლად ველი 2015 წლის მარტს, როცა კოტე კუბლაშვილი დაასრულებს თავის კარიერას“. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ეს შეთანხმება საქართველოს ანექსიის მცდელობა და აფხაზების თვითმყოფადობის შევიწროებაა“



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე რუსეთ-აფხაზეთს შორის საერთო არმიის შექმნასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მსგავსი შეთანხმება აფხაზების უფლებებისა და თვითმყოფადობის შევიწროებაა:

„თავად აფხაზებიც კი გრძნობენ, რომ ეს არის მათი უფლებებისა და თვითმყოფადობის შევიწროების მცდელობა. მინდა ამის გამო, ერთი მხრივ, უაღრესი შეშფოთება გამოვთქვა, თუმცა ამავე დროს ვიტოვებ იმედს, რომ ეს ე.წ. ხელშეკრულება რუსეთსა და დე ფაქტო ხელისუფლებას შორის არ გაფორმდება. საერთაშორისო საზოგადოება, რა თქმა უნდა, ყურადღების გარეშე არ დატოვებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს სერიოზული მუშაობა აქვს გაწეული, რომ ამ ხელშეკრულების შესახებ საერთაშორისო საზოგადოება იყოს ინფორმირებული. ჩვენს საელჩოებს მიღებული აქვთ შესაბამისი ინსტრუქცია.

ორშაბათს მექნება სერიოზული შეხვედრა ლუქსემბურგში ევროკავშირის 28 ქვეყნის მინისტრებთან, რომელზე განხილვის თემაც იქნება ეს საკითხი. ლუქსემბურგის შემდეგ გავემგზავრები ბერლინში და იქაც ყველა ჩემს გამოსვლაში ეს ხელშეკრულება იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საუბრის თემა. ამ ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ის ნამდვილად იქნება აღქმული, როგორც საქართველოს ანექსიის მცდელობა და ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი“, – აღნიშნა ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება შეკითხვას, რა რეაგირება ექნება ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას, ფანჯიკიძის თქმით:

„საქართველო არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებს ძალას. ჩვენ მოვახდენთ საერთაშორისო საზოგადოების კონსოლიდაციას. სხვა ბერკეტი საქართველოს არ გააჩნია, ძალის გამოყენებით არაფერი არ გვარდება“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

გვალხენს, რა გვაქეიფებს? ერთი პანლური ამოარტყა იელოველს ჩვენმა ფერაძემ და 5 წელი დასდევდნენ სასამართლოში, ძლივს დაიხსნა თავი, პირობითი მიუსაჯეს. რას ნიშნავს ეს? ვინ არიან იელოველები, ერთი აქ მოვიდნენ ჩემთან, ვერ ბედავენ კარზე დაკაკუნებას, დედას ვუტირებ, წავიდნენ მერე და მიჩივლონ. მახსოვს, როცა სასამართლო პროცესი მიდიოდა, თინა ხიდაშელმა მისწერა კლინტონის ცოლს: საქართველოში განსხვავებული რე-



„მახსოვს, როცა სასამართლო პროცესი მიდიოდა, თინა ხიდაშელმა მისწერა კლინტონის ცოლს: საქართველოში განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლებს ჩაგრავენო. არ გაგიჟდები კაცი? სად სადღაც გადაკარგული ამერიკა და სად — თბილისის რომელიღაც რაიონში სასამართლო პროცესი? ახლა სტრასბურგშიც მოუგიათ იელოველებს პროცესი და თურმე ფულიც უნდა გადავუხადოთ. ვაი, მაგათ პატრონს!“

ლიგიის წარმომადგენლებს ჩაგრავენო. არ გაგიჟდები კაცი? სად სადღაც გადაკარგული ამერიკა და სად – თბილისის რომელიღაც რაიონში სასამართლო პროცესი? ახლა სტრასბურგშიც მოუგიათ იელოველებს პროცესი და თურმე ფულიც უნდა გადავუხადოთ. ვაი, მაგათ პატრონს! ეს ყველაფერი არის ჩვენი ბრალი. მე 4 წელიწადი გერმანიაში ვცხოვრობდი, გერმანელს ვერც ერთი იელოველი ვერ მიეკარება, დედას უტირებენ. ჩვენ ვინ ვართ, მონები? აი, ამიტომ უნდა აიმაღლოს ხმა ქართველმა ხალხმა!

**— ბატონო ელიზბარ, როდესაც საზოგადოებრივი მოძრაობა თუ პოლიტიკური პარტია აქტიურობს, საჭიროა ფინანსები, თქვენ ამ მხრივ როგორ გაქვთ საქმე?**

– ჩვენ არც 2012 წლამდე გვქონდა ფული, მაგრამ ვაქტიურობდით. ერთი ოფისი გვაქვს და ამას ვინახავთ. უკვე მირეკავენ რეგიონებიდან, მეკითხებიან, გააქტიურებას მართლა აპირებთო? ამ ქვეყანაში არიან ისეთი კაცები, რომლებსაც სამშობლო უყვართ, ერთი ასეთი კაცი უკვე გამოჩენილია და ალბათ ისიც გადმოგვხედავს. ჩვენ იმდენი მაინც გვექნება, რომ ვიმოძრაოთ. შენ კარგად გახსოვს ზვიად გამსახურდიას დროინდელი ამბები, ვმოძრაობდით, მაგრამ ფულზე არასოდეს არ იყო ლაპარაკი. კარგი ქართველები არსებობდნენ და ბენზინს გვისხამდნენ მანქანებში. ახლაც ასეთი სიტუაციაა.

**— ალბათ ნონა გაფრინდაშვილს დაელაპარაკებით, ხომ? მე მგონი, „სახალხო კრების“ წევრობაზეც უარს ამბობს.**

– არა, წევრობაზე არ იტყვის უარს, ეგ ღალატი იქნება. თავმჯდომარე ვინ უნდა იყოს და ვინ – არა, ეგ სხვა საკითხია, მაგაზე ვიფიქრებთ. ახლა მთავარია, შიგნით სტრუქტურულად დავალაგოთ სიტუაცია და ახალი ხალხი მივიღოთ.

**— მაინც რა კატეგორიის ხალხის მიღებას აპირებთ?**

– ძირითადად იქნებიან კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მოღვაწეები. სამწუხაროდ, საქართველოში ვერ ვხედავ ისეთ პოლიტმუშაკებს, რომლებიც ამ საქმეში გამოდგებიან. რატომღაც ყველას თანამდებობა და ფული უნდა, ჩვენთან ვერც ერთს იშოვიან, ვერც მეორეს. ვისაც თანამდებობა უნდოდა, უკვე წავიდა და ახლა უნდა დავლაგდეთ, უბრალოდ სხვა გზა არ გაგვაჩნია. უახლოეს დღეებში გადანაწილდება სფეროები, დადგინდება, ვინ რა კუთხით იმუშავებს და რაც მთავარია, უნდა მოვიზიდოთ ახალგაზრდები, გამოვიყენოთ მათი გონება, ენერგია და ძალა.

**„სახალხო კრების“ კიდევ ერთი ლიდერი, გია ბურჯანაძე „ალიასთან“ ამბობს, რომ დღეს მათი მოძრაობის გააქტიურება აუცილებელია, მაგრამ ხალხი ამას როგორ გაიგებს, საზოგადოება გაჰყვება?**

– სამწუხაროდ, ჩვენი ხალხი იმ დონემდეა მისული, ყველაფერი უნდა დაუღეჭო და პირში ჩაუდო. „ნაციონალებმა“ ადამიანები გადააჩვიეს ფიქრს.



„როცა ძალიან გაბრაზდები ადამიანი, ხანდახან იტყვი ასეთ რაღაცას. როცა ქვეყანა თავზე გენგრევა, შეიძლება ხელიც ჩაიქნიო. ჩემი პოზიცია ასეთია: ისევ თავზე გვემხობა ქვეყანა და ყველამ უნდა ვიბრძოლოთ მის გადასარჩენად“

**— ბატონო გია, თქვენ იმ დისკუსიებში მონაწილეობთ, რაც „სახალხო კრებაში“ მიმდინარეობს?**

– კი, რა თქმა უნდა, ვმონაწილეობ... ბოლო დღეებში ცოტა მოწყვეტილი ვარ პოლიტიკას, თეატრში პრემიერა მაქვს, მოვრჩები და ისევ ინტენსიურად ჩავერთვები.

**— მე ქალბატონ ნონას ველაპარაკე და მითხრა, „სახალხო კრების“ თავმჯდომარე აღარ ვარ, პოლიტიკა საერთოდ აღარ მაინტერესებსო.**

– ნონა გაფრინდაშვილს თავმჯდომარეობა პირველივე დღიდან არ უნდოდა. მას იმდენი გაუგებრობა შეხვდა ხალხის მხრიდან, კარგად მესმის მისი.

**— ადრე თქვენც გქონდათ ერთგვარი დეპრესია და თქვით კიდეც, აღარც „სახალხო კრება“ მინდა და აღარც პოლიტიკაო. ახლა როგორ ხართ, გაქვთ ბრძოლის ხალისი?**

– როცა ძალიან გაბრაზდები ადამიანი, ხანდახან იტყვი ასეთ რაღაცას. როცა ქვეყანა თავზე გენგრევა, შეიძლება ხელიც ჩაიქნიო. ჩემი პოზიცია ასეთია: ისევ თავზე გვემხობა ქვეყანა და ყველამ უნდა ვიბრძოლოთ მის გადასარჩენად.

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

# ნინო ბურჯანაძე: „საქართველოს ხელისუფლების გაუბედაობა და უსუსურობა გვაკარგვინებს ქვეყნის გამთლიანების შანსს!“

**„საქართველოს ხელისუფლების მცდარი პოლიტიკისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მავნებლური და მაამებლური განცხადებების შედეგია ფორსირებული პროცესები აფხაზეთში, რამაც შესაძლებელია, ჩვენი ქვეყანა უმძიმეს შედეგებამდე მიიყვანოს!“**

2014 წლის 15 ოქტომბერს „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ აფხაზეთთან რუსეთის ერთობლივი საჯარისო ფორმირების შესაძლო შექმნის თაობაზე ბრიფინგი გამართა:

„მე არაერთგზის გავაკეთე განცხადება და გავაფრთხილე ქართული პოლიტიკური ელიტა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიერ გაკეთებული უპასუხისმგებლო განცხადებები ძალიან დააჩქარებდა პროცესებს საქართველოსთან მიმართებაში და ჩვენ სერიოზულ ჩიხში შეგვიყვანდა. ჩემი პროგნოზი ამჯერადაც გამართლდა და იმ უპასუხისმგებლო განცხადებებს, რომლებიც კონკრეტული მინისტრების მხრიდან კეთდება, რაც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ეხება, მოჰყვა უმძიმესი რეაგირება რუსეთის მხრიდან, რომლის შესახებაც ჩვენ რუსეთი თავის განცხადებებში ადრეც გვაფრთხილებდა. **რამდენიმე კვირის წინ პირველად გაკეთდა განცხადება აფხაზეთთან რუსეთის ერთობლივი საჯარისო ფორმირების შესაძლო შექმნის თაობაზე, დღეს კი უკვე ამ საკითხთან დაკავშირებით სახეზეა სერიოზული ძვრები. სწორედ ჩვენი ხელისუფლების არასწორი მოქმედებების, რუსეთთან რეალური პოლიტიკის არარსებობის გამო ხდება ამ პროცესების დაჩქარება!**

საქართველოს ხელისუფლების პოზიცია აღნიშნულ მდგომარეობასთან დაკავშირებით არის აბსოლუტურად არაადეკვატური. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აკეთებს განცხადებას, რომ აღნიშნული მოქმედებები ხელს შეუშლის რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზებას. რომელ ნორმალიზაციაზე ვლაპარაკობთ? მხოლოდ რამდენიმე ბოთლი ღვინის რუსეთის ბაზარზე გატანაზე?

თუ ვლაპარაკობთ რეალურ ნორმალიზებაზე, რომელიც არც დაწყებულა ჩვენი ხელისუფლების ხელში და არც დაიწყება იმის გამო, რომ ჩვენ გუშინ და გუშინწინ კიდევ ერთხელ გავხდით თვალნათელი მოწმენი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არ არსებობს ერთიანი გუნდი, ერთიანი პოზიცია მათ შორის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა რუსეთთან ურთიერთობები. **საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ მავნებლურ განცხადებებს, რომლებიც შეიძლება არის რომელიმე სახელმწიფოს საამებელი, მაგრამ ნამდვილად არ ემსახურება საქართველოს ინტერესებს. ამის მაგალითი იყო განცხადებები ნატო-ს ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებასთან დაკავშირებით, თავდაცვის მინისტრის განცხადება ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებასთან დაკავშირებით, თუნდაც მისი დღეს გაკეთებული განცხადება, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თურმე რა გადაწყვეტილებას მიიღებს აფხაზეთის ე.წ ხელისუფლება.**



ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც, რა თქმა უნდა, წარმოადგენს აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც დღეს აფხაზეთში ცხოვრობს და არ წარმოადგენს აფხაზეთიდან დევნილი ასიათასობით ადამიანის ინტერესებს, მაგრამ ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ რეალობას, ვესაუბროთ ამ ადამიანებს, მით უფრო ამ კონკრეტულ სიტუაციაში თავად აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამაც კითხვის ნიშნები გააჩინა. როდესაც ამას არ იყენებ და ამბობ, რომ არ აქვს მნიშვნელობა, **როცა ვერ ბედავ იმას, რომ პირდაპირ დაელაპარაკო აფხაზეთისა და ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, ეს ყველაფერი სწორედ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებს.**

ჩავიდნენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები აფხაზეთში, ოსეთში, და დაელაპარაკონ ადგილზე მყოფ ადამიანებს!

**ჩვენ რომ გვყავდეს რეალურად პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი ხელისუფლება, დღეს უკვე პირდაპირი დიალოგი ამ თემებთან დაკავშირებით მოსკოვთან დაწყებული უნდა იყოს. ამას ვერავინ ბედავს ერთი მარტივი მიზეზის გამო, ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველა გადაწყვეტილებაზე იხედება მოკავშირეების მიმართულებით, ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც დღესაც აცხადებს, რომ მალე დეოკუპაციის პროცესი დაიწყება საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლით. სამწუხაროდ, ეს არის ილუზია, ეს არის ხალხის მოტყუება.**

ვერავინ გააკეთებს ჩვენს გასაკეთებელ საქმეს და არც უნდა მოვთხოვოთ დასავლეთს ჩვენ მაგივრად იმოქმედოს. ვერავინ მოაგვარებს ამ პრობლემას, თუ არა თავად საქართველოს ხალხი და ხალხის რეალური წარმომადგენელი ხელისუფლება, რომელიც იფიქრებს საქართველოს ინტერესებზე და არა იმაზე, როგორ შეასრულოს ნებისმიერი დაკვეთა.

**არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, საქართველოს ხელისუფლება რომელი მიმართულებიდან წამოსულ დაკვეთას შეასრულებს — ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან. საქართველოს ხელისუფლება იმ საქმეს უნდა აკეთებდეს და იმ დაკვეთას ასრულებდეს, რომელიც მხოლოდ საქართველოს ინტერესებს შეესაბამება და მხოლოდ ქართველი ხალხისგან მოდის!**

სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას არანაირი რესურსი ამ მოლაპარაკებებისა არ გააჩნია!

**დღეს ძალიან საგანგაშო სიგნალებია ნებისმიერი იმ ადამიანისთვის, რომელიც ერკვევა პოლიტიკაში. საქართველო განვითარების უმძიმეს ფაზაში შედის და ჩვენ შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს ხელისუფლების უსუსურობა და უპასუხისმგებლობა.**

2010 წელს, 2011 წელს, როდესაც მე შეხვედრები მქონდა რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან, საქართველოსთვის განუზომლად უფრო ფართოდ იყო გახსნილი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მოგვარების კარი, ვიდრე დღეს. სამწუხაროდ, ეს კარი ყოველდღიურად იხურება. რა თქმა უნდა, ჩემი მხრივ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს კარი არ დაიხუროს, მაგრამ ამაში სერიოზული წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ხელისუფლებამ, რომელიც რუსეთს ვერ ელაპარაკება, რადგან ერთმანეთთანაც კი ვერ პოულობენ საერთო ენას.

**რუსეთთან ურთიერთობების დალაგების გარეშე, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს დასავლეთთან, აღმოსავლეთთან ან სამხრეთთან მტრობასა და ურთიერთობების გაწყვეტას, ჩვენ საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შანსს და შეიძლება კიდევ უფრო მძიმე გამოწვევების წინაშე დავდგეთ.**

**ვისაც გესმით პოლიტიკა, ესეც უნდა გესმოდეთ და ვისაც არ ევალება, რომ ესმოდეს, მინდა ვთხოვო, რომ ეს განცხადება ძალიან გულდასმით მოისმინოს და თავად გააკეთოს ანალიზი, რა ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა!“**

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რატომ აწყობს ირაკლი ალასანიას მინისტრის პოსტიდან გადადგომა



საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, თედო ჯაფარიძემ პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძეს ურჩია, გრიგორი კარასინთან პრაღაში დაგეგმილი შეხვედრა გააუქმოს: „როდესაც ერთი მხარე ასე უტიფრად აქვეყნებს გაურკვეველი შინაარსის დოკუმენტს, ლაპარაკია პირდაპირ ანექსიაზე, უნდათ აფხაზებს ეს თუ არა, ამ სიტუაციაში მე ვურჩევდი ჩემს კოლეგებს, თავი შეიკავონ მოლაპარაკებებისგან“.

ზედმეტად გაწონასწორებულმა ზურაბ აბაშიძემ თედო ჯაფარიძეს სკანდალური პასუხი გასცა: „ჩემს ძველ მეგობარს, ბატონ თედოს ჩემთვის რომ დაერეკა, მე მას მოვუყვებოდი, რატომ მივდივარ და რისთვის მივდივარ. ეტყობა, ცოტა მუხრუჭებმა უღალატა, შეიძლება ცოტა ასაკობრივიც არის ეს ამბავი“.

**როგორც პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ეს არც მუხრუჭების ამბავია და არც ასაკის ბრალი:**

– აქ პირადული ამბავია, თავად თედო ჯაფარიძე რუსეთის მიმართ კრიტიკული არასოდეს ყოფილა. მე ერთსაც და მეორესაც ვიცნობ უკვე 40 წელია. ზურა თავის სიცოცხლეში ასე ღიად არავის დაპირისპირებია. მე სწორედ ჯაფარიძის განცხადების შემდეგ ველაპარაკე და პირდაპირ ვუთხარი, საგარეო საქმეთა მინისტრს ხსნიან, ალბათ, კანდიდატი შენ ხარ და ამიტომაც შემოგიტიეს-მეთქი. ვაიმე, შეეშინდა, ეგრევე სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. ისე, ამ თანამდებობაზე, თუ ხელისუფლებას კარგი უნდა, უნდა დანიშნოს ნინო ბურჯანაძე. მართალია, ბევრს არ ევასება, მაგრამ მას მიესვლება რუსებთანაც, ევროპელებთანაც და ამერიკელებთანაც. გარდა ამისა, მართლა იქნებოდა კოალიციური მთავრობა.

**— ბატონო სოსო, სანამ სხვა თემაზე გადავალთ, იქნებ აგვიხსნათ, რას აკეთებს სოხუმთან დაკავშირებით, თქვენ როგორ შეაფასებთ ხელშეკრულებას?**

– რუსეთმა აფხაზეთი უკვე ჩაიდო ჯიბეში, თან მიაყოლა ცხინვალიც. რაც თედოსა და ზურას შორის ხდება, ეს „სემიჩკაა“, ერთმანეთში ვერ მორიგდნენ რაღაცაზე, კარასინთან შეხვედრით არაფერი არც წყდება და არც იცვლება. სხვათა შორის, ირაკლი ალასანიამ თქვა ძალიან საინტერესო რაღაცა, მაგრამ არ ვიცი, რის საფუძველზე: უახლოეს ხანში ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ერთად დავიწყებთ დეოკუპაციის პროცესსო.

**— რუსებს პირიქით მიჰყავთ პროცესი და ამათ რა დეოკუპაცია უნდა დაიწყონ?**

– თან არ დაგავიწყდეს, ალასანია თავისი პარტიის თავმჯდომარე ხდება ხელახლა. დღეს თუ ვინმეს აქვს საქმე, ეს არის თავდაცვის მინისტრი. ახლა ამდენი დრო აქვს, რომ პარტიის თავმჯდომარეც იყოს? მაგისი პარტიის წევრმა, ალექსი პეტრიაშვილმა თქვა, 2016 წლამდე კოალიციიდან წასვლას არ ვაპირებთო. ეგენი თვითონ არ წავლენ, მაგრამ გაუშვებენ. ალასანია უკვე ემზადება არჩევნებისთვის და ცოტა ხანში დაიწყება ისეთი ბატალიები, მონაგონი იქნება „ნაციონალებისა“ და „ქართული ოცნების“ დაპირისპირება. გადაყენების სერია დაიწყება მაია ფანჯიკიძით, რაც იქნება სიგნალი ალასანიასთვის, რათა მერე თვითონ გადადგეს. მან ძალიან კარგად იცის მიშა სააკაშვილის გამოცდილება, გაიხსენე, როდის დაიწყო მოსახლეობაში ქულების დაგროვება? როცა იუსტიციის მინისტრობიდან გადადგა. ალასანიაც ხედავს, რა ძლიერია მოსახლეობაში უკმაყოფილება, რაც არ უნდა იძახო, ჰალვა ტკბილიაო, უფრო მეტად ვერ დაგიტკბება. შენ იცი ჩემი დამოკიდებულება ალასანიას მიმართ, მაგისი გულშემატკივარი ვერ ვიქნები, რადგან ეგ იქნება „მიშა 2“, იგივე ავტორიტარი და ბოლმა იქნება. ალასანიას ძალიან ბევრი მლიქვნელი ახვევია გარშემო, ისინი აქეზებენ, შენს მეტი ამ ქვეყანაში არავინ არისო. დაუკვირდი, თითქმის ყველა პარტია ჩაფლავებულია. დავით უსუფაშვილი „მეშოკია“, ცოლის კაბაში შემძვრალი, ცოლთან ერთად დადის ღონისძიებებზე... გუშინ ვუყურებდი, ევროპის ტელევიზიაში იყო, თინა ხიდაშელმა გამოსტაცა ქაღალდი და თითით ანიშნებდა, ასე და ასეო. როგორც უკვე ვთქვი, ჯერ გაუშვებენ ფანჯიკიძეს, მერე გაუშვებენ ალექსი პეტრიაშვილს, მერე მიადგებიან თეა წულუკიანს. 2003 წელს მიშას ეხვეწებოდნენ, მეორე ადგილს მოგცემთ პარლამენტში და გაჩუმდიო. არ დასთანხმდა, პირველი ადგილი მინდაო და მიაღწია კიდეც. ახლა ალასანიასთვისაც მეორე კაცობა და რიგითი მინისტრობა არ არის საკმარისი. დღეს ამერიკელებთან ყველაზე ახლოს ეგ არის. დაუკვირდი, „ნაციონალებთან“ ყველაზე მეტად ალასანიაა თავშეკავებული, ამიტომ მისი ფიგურა მათთვისაც მისაღები იქნება. იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, ამერიკელებმა უთხრან ბიძინა ივანიშვილს, 4 წელი თქვენ იყავით, ახლა ამას დაუთმეთ ადგილიო. კი, გადანაწილება შეიძლება მოხდეს რაღაც დოზით, მაგრამ ამ შემთხვევაში ალასანია მეორე კაცობას არ დასთანხმდება. ერთი საკითხი, რაც ამ ხელისუფლების აქტივშია, ეს არის ასოცირების ხელშეკრულება, მაგრამ ესეც ასე სწრაფად უკრაინის „პახმელიაზე“ მოგვცეს. აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა ვარდებოდა, 6 ქვეყნიდან მარტო საქართველო და მოლდოვაღა შერჩათ. რუსეთში ძალიან კარგად ხედავენ, რომ

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*



**„ზურა თავის სიცოცხლეში ასე ღიად არავის დაპირისპირებია. მე სწორედ ჯაფარიძის განცხადების შემდეგ ველაპარაკე და პირდაპირ ვუთხარი, საგარეო საქმეთა მინისტრს ხსნიან, ალბათ, კანდიდატი შენ ხარ და ამიტომაც შემოგიტიეს-მეთქი. ვაიმე, შეეშინდა, ეგრევე სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შინაგან საქმეთა მინისტრმა სასაზღვრო სექტორები გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ, მინისტრის მოადგილე ვახტანგ გომელაურმა და სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ზურაბ გამეზარდაშვილმა ლაგოდეხში სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის მეხუთე სამმართველოს მეოთხე სექტორ „ახალსოფელის“, მესამე სექტორ „მსხალგორისა“ და პირველ სექტორ „ცოდნის კარის“ შენობები საზეიმოდ გახსნეს.

აღნიშნული სექტორებიდან „მსხალგორი“ და „ახალსოფელი“ საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვარზე, ხოლო სექტორი „ცოდნის კარი“ საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე მდებარეობს.

2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასაზღვრო პოლიციისთვის დამატებითი სახსრები გამოყო საქართველო-რუსეთის ფედერაციის, საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებზე ახალი სექტორების მშენებლობისთვის. ახალი შენობები სრულიად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. ინფრასტრუქტურა უახლესი ტექნოლოგიებით მოეწყო და აღჭურვილია სხვადასხვა სახის თანამედროვე აპარატურით.

სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სფეროში მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესება. 2014 წლის თებერვლიდან მესაზღვრეებს ხელფასები მნიშვნელოვნად გაეზარდათ. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის მესამე სამმართველოს სამი სექტორი „ახკერპი“, „ბურდაზორი“ და „ვახტანგისი“ გახსნა.

საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 3 სასაზღვრო სექტორი. საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 2 სასაზღვრო სექტორი. საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 4 სასაზღვრო სექტორი. საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 1 სასაზღვრო სექტორი.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვახტანგ გომელაურმა განაცხადა: „შინაგან საქმეთა სამინისტრომ პირველ რიგში პრიორიტეტად დაისახა საზღვრის განვითარება იქიდან გამომდინარე, რომ ყველაზე სავალალო მდგომარეობაში იყო საზღვარი, როცა ჩვენ ჩავიბარეთ. შვიდი საზღვარი უკვე გაიხსნა და კიდევ იგეგმება სამი სექტორის გახსნა. ახლო მომავალში, დაახლოებით ორ კვირაში ორი კიდევ გაიხსნება და წლის ბოლომდე – ერთი, მთლიანობაში ათი სექტორი იქნება ახალი გახსნილი. არამარტო ხელფასები და ინფრასტრუქტურა განვითარდა, ტრანსპორტი შეიცვალა, ბევრი კვადროციკლი დაემატა და მომავალში ვგეგმავთ კიდევ კამერების, როგორც ღამის ხედვების, ასევე სითბური კამერებით აღჭურვას ჩვენი საზღვრის, რათა ნაკლები ფიზიკური დატვირთვით მეტი ეფექტი, მეტი შედეგი მიიღონ“.



შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ზურაბ გამეზარდაშვილმა განაცხადა: „აღნიშნული სასაზღვრო სექტორები არის ევროსტანდარტების მქონე. ჩვენ ერთი წლის განმავლობაში შევძელით ის, რომ გავხსენით ათი, ორი დასრულების პროცესშია და გაიხსნება ათი ახალი სასაზღვრო სექტორი. ასევე ჩვენ ძალიან ამბიციური გეგმები გვაქვს, მომავალ წელსაც ვფიქრობთ, რომ 2016 წლისთვის სრულად დასრულდება საზღვრის მოდერნიზაცია და საქართველოს სახელმწიფო საზღვარი იქნება დაცული ისე, როგორც ეს არის განვითარებულ ძლიერ ქვეყნებში.

იყო ესეთი ფაქტები, გამოვლენილი იყო მესაზღვრეებისა და კრიმინალურ პოლიციასთან ერთობლივად, ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანის ფაქტები. ახლა უკვე იკლო, იმიტომ, რომ მესაზღვრეები ძალიან ეფექტურად, 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ და როდესაც კრიმინალები ხედავენ ამას, უკვე აღარ რისკავენ, რომ შემოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არარეგალური გზით. ჩვენ სექტორებზე ძირითადად ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან დასაქმებულები. მოგეხსენებათ, ადგილობრივებმა უკეთ იციან ის საცალფეხო ბილიკებიც კი, საიდანაც შეიძლება შემოვიდნენ არარეგალურად ჩვენს ქვეყანაში და ამიტომ ჩვენ ვთვლით, რომ უფრო მეტად იყვნენ ადგილობრივები დასაქმებულები, რათა უფრო ეფექტურად შეასრულონ თავისი სამსახურებრივი მოვალეობა“. (შსს-ს პრესცენტრი)

*მეხუთე გვერდიდან*

საქართველოს ხელისუფლება აბაშიძე-კარასინის შეხვედრებზე მაღლა „პლანკის“ აწევას ვერ ბედავს, ვერ ბედავს ვერც დასავლეთის შიშით და ვერც „ნაციონალების“ შიშით.



**„ცოტა ხანში დაიწყება ისეთი ბატალიები, მონაგონი იქნება „ნაციონალებისა“ და „ქართული ოცნების“ დაპირისპირება. გადაყენების სერია დაიწყება მაია ფანჯიკიძით, რაც იქნება სიგნალი ალასანიასთვის, რათა მერე თვითონ გადადგეს. მან ძალიან კარგად იცის მიშა სააკაშვილის გამოცდილება, გაიხსენე, როდის დაიწყო მოსახლეობაში ქულების დაგროვება? როცა იუსტიციის მინისტრობიდან გადადგა. ალასანიაც ხედავს, რა ძლიერია მოსახლეობაში უკმაყოფილება“**



**„როგორც ვხედავთ, მთავრობაში ცვლილებები აუცილებელი გახდა, ეს ადრეც იყო გასაკეთებელი, მაგრამ „ქართული ოცნება“ თავისი რიტორიკის მსხვერპლი ხდება, ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა და სამჯერ თქვა, მე მყავს კარგი და ძალიან კარგი მინისტრებიო. ამის შემდეგ როგორ გინდა, ვინმე გაათავისუფლო? მერე, ჩვენი მინისტრები ისე არიან დაკრულები სკამებზე, ტანკი რომ გამოუბა, ვერ ააძრობ“**

**— როგორც ჩანს, რუსეთთან მიმართებაში რაღაც გარკვეული რისკია საჭირო.**

– რასაკვირველია, რისკია საჭირო, დღეს რუსეთს უკვე უნდა საქართველოსთან საბოლოო მოლაპარაკება, ურთიერთობის გარკვევა. ჩემი დაკვირვებით, ჩვენ რომ ერთი წლით ადრე დაგვეწყო მოლაპარაკებები, ან ივანიშვილი შეხვედროდა პუტინს ან კიდევ ღარიბაშვილი, აფხაზეთთან ხელშეკრულება არ იქნებოდა. ბოლო-ბოლო, ჩვენ იაპონელებზე ჭკვიანები ვართ? იაპონიის ტერიტორიაც ოკუპირებული აქვს რუსეთს, ამ ქვეყანასთან, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაშია, ზავი არა აქვს გაფორმებული. ამ დროს იაპონიასთან დიპლომატიური ურთიერთობაც აქვს და არის 53 მილიარდი დოლარის სავაჭრო ტვირთბრუნვა. ჩვენ აფხაზეთის დაბრუნების სტრატეგიაც არ გაგვაჩნია, პაატა ზაქარეიშვილის მიერ შემუშავებული სტრატეგიის დედაც ვატირე. ამ რუსეთს ან უნდა დაელაპარაკო, ან კიდევ იმის ტრაკი უნდა გქონდეს, რომ ძალით დაიბრუნო. შენ არც ერთი გინდა, არც მეორე. აქვე აღსანიშნავია, რომ ალასანიას წისქვილზე ასხამს წყალს გიორგი მარგველაშვილიც, გამოდის და ლაპარაკობს, ეს დაჭერები მეც მაშფოთებსო. ჯერჯერობით „რეზკი“ მოძრაობები არ აქვს, მაგრამ ნელნელა დისტანცირდება მთავრობისგან. მარგველაშვილს სააკაშვილივით ავანტიურული მოძრაობები არ აქვს. მიშა არის ავანტიურისტი, მას შეუძლია გაუმართლებელ რისკზე წასვლა. ცხინვალში საომრად რომ მიდიოდა, ორი სატვირთო დროშები მიჰქონდა თან, ეს ავანტიურა არ იყო? როგორც ვხედავთ, მთავრობაში ცვლილებები აუცილებელი გახდა, ეს ადრეც იყო გასაკეთებელი, მაგრამ „ქართული ოცნება“ თავისი რიტორიკის მსხვერპლი ხდება, ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა და სამჯერ თქვა, მე მყავს კარგი და ძალიან კარგი მინისტრებიო. ამის შემდეგ როგორ გინდა, ვინმე გაათავისუფლო? მერე, ჩვენი მინისტრები ისე არიან დაკრულები სკამებზე, ტანკი რომ გამოუბა, ვერ ააძრობ. ასჯერ თქვა ბიძინამ, კულტურის მინისტრი სუსტიაო და ოდიშარია ისევ იძახდა, აქ ვარ და სხვანაირად არ ძალმიძსო. ბოლოს კივილით გაისტუმრეს და პრემიერ-მინისტრის მრჩევლად გადაიყვანეს. კარგი ხელფასი აქვს და მანქანა ემსახურება, მეტი რა ჩემი ფეხები უნდა? მაგის სამინისტროში 500 კილო ყავას სვამდნენ წელიწადში. მოდი, სიტუაციას შევხედოთ „ოცნების“ მხრიდან, მე მაინც ვფიქრობ, რომ მინისტრების გადაყენებით სიტუაცია არ დაწყნარდება, დღეს მთავრობას საკადრო საკითხში აქვს ძალიან რთული მდგომარეობა, სათადარიგო სკამი ძალიან მოკლეა. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ყველაზე ძალიან კულტურის მინისტრის მოძებნა გაგვიჭირდაო, საქართველოში შეიძლება ფინანსთა მინისტრი ვერ იშოვო, მაგრამ კულტურის? ბოლოს ეს სამინისტრო ჩააბარეს ვის? იმპრესარიოს. ბათუმში ძმაკაცები მყავს, ისინი მიყვებოდნენ, მიშას დროს ბებერი მომღერლები ჩამოჰყავდა, მილიონები მიჰქონდათ და მიდიოდა „ატკატებიო“. ასე რომ, მუხრუჭებმა ჯაფარიძეს კი არ უღალატა, ძალიან ბევრს ღალატობს და ამიტომაც ხდება ასეთი რაღაცები – ზოგიერთ მოვლენას ახსნაც კი აღარ მოეძებნება.

**„ალია“ დაინტერესდა, რა იციან თავდაცვაში ალასანიას შესაძლო გადადგომის შესახებ. სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, ეკა შანიძე ამბობს, რომ ის პარტიულ საქმეებში არ ერევა და ამიტომ არც გადადგომის თაობაზე იცის არაფერი.**

იგივე კითხვით პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ პრესსამსახურის ხელმძღვანელს, ლევან ჯორბენაძეს მივმართეთ, ამაზე სასაუბროდ მან ირაკლი ალასანიას პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრთან, ირაკლი ჩიქოვანთან გადაგვამისამართა, რომელიც ამჟამად პრაღაში იმყოფება. იგივე პრესსამსახურის დახმარებით შეკითხვები პრაღაში გადავუგზავნეთ. პასუხმა რომ დაიგვიანა, ჯორბენაძეს გვიან ღამითაც შევახსენეთ, მაგრამ აღარ გვიპასუხა.

თუ მართლაც გადადგა ალასანია, ვინ იქნება თავდაცვის მინისტრი? ბოლო ორი დღეა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ირაკლი სესიაშვილის კანდიდატურა მოიაზრება. ამ ინფორმაციის გადამოწმება „ალიამ“ თავად სესიაშვილთან სცადა, მაგრამ მას ტელეფონი ძალიან მყარად აქვს გათიშული.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოქალაქეებს დაუბეგრავი მინიმუმი დაუბრუნდებათ




დაუბეგრავი მინიმუმის სახით, დღეის მდგომარეობით, თანხა უკან 470 ათასზე მეტ მოქალაქეს დაუბრუნდა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დაბრუნებული თანხის ოდენობა, ჯამში, 131 მლნ ლარზე მეტს შეადგენს. ისევე, როგორც 2014 წელს, 2015 წელსაც ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმვა ხორციელდება დაუბეგრავი მინიმუმის სახით დასაბრუნებელი თანხის გამოკლებით. როგორც იყო მიმდინარე წელს: თუ პირის მიერ 2014 წელს მიღებული დასაბეგრი ხელფასი არ აღემატება 6000 ლარს, უფლება ექნება, 2015 წელს გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი 1800 ლარი და მოითხოვოს აღნიშნულზე გადახდილი შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნება. კერძოდ, თუ პირის მიერ 2014 წელს ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი 1800-დან 6000 ლარია, მოცემულ შემთხვევაში, უფლება ექნება, დაიბრუნოს 360 ლარი, ხოლო თუ 1800 ლარამდეა, მოცემულ შემთხვევაში, დაბრუნებას ექვემდებარება კონკრეტული თანხის 20 პროცენტი. ისე, როგორც მიმდინარე წელს, 2015 წელსაც მოსახლეობას დამატებით ეცნობება, როდიდან ექნებათ საშუალება, შეავსონ ელექტრონული დეკლარაცია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე. პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია მის პირად აღრიცხვის ბარათზე აისახება ავტომატურად, დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს, რის შემდეგაც, თანხის დაბრუნების მიზნით, 3 თვის ვადაში საგადასახადო ორგანო სახაზინო სამსახურს უგზავნის შესაბამის საგადასახადო დავალებას, რომელიც სრულდება 10 სამუშაო დღეში“, – აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში. (რეპორტიორი)

## ოკუპანტებმა გატაცებული იმედა ბერიანიძე გაათავისუფლეს



12 ოქტომბერს სოფელ ბერშუეთიდან გატაცებული იმედა ბერიანიძე ცხინვალის ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს უკვე გადმოსცეს. განთავისუფლების სანაცვლოდ ოჯახმა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას 2000 რუსული რუბლი გადაუხადა. 37 წლის იმედა ბერიანიძე ოკუპანტებმა სოფლის მინდვრებიდან იმ დროს გაიტაცეს, როდესაც ის მსხვილფეხა პირუტყვს მწყემსავდა. ადგილობრივების მტკიცებით ბერიანიძე ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო და მას პირობითი საზღვარი არ დაურღვევია, ოსურმა მხარემ კი ის ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით გაასამართლა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 112-ის მომსახურების საფასურის გაუქმებას ითხოვენ




არასამთავრობო ორგანიზაცია „ნოვატორები“ 112-ის მომსახურების საფასურის – 20 თეთრის გაუქმებას მოითხოვს.

ორგანიზაციის წარმომადგენლის ლაშა შუკაკიძის განცხადებით:

„თითოეულ აბონენტს, თავისი სახლის ან მობილური ტელეფონიდან, ყოველთვიურად ეჭრება 20 თეთრი, რაც მოიცავს 112-თვის გაწეულ ხარჯებს. ეს ხდება იმის მიუხედავად, ისარგებლა თუ არა ადამიანმა ამ მომსახურებით ან საერთოდ, სურს თუ არა, მას ჩამოეჭრას ეს 20 თეთრი. ანუ ყოველივე ეს ხდება მისი ნების საწინააღმდეგოდ, რაც კონსტიტუციისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვაა, ვინაიდან მისი ნების საწინააღმდეგოდ ხდება მისი თანხების ხელყოფა. არ აქვს მნიშვნელობა თანხის სიდიდეს. მოვითხოვთ, 112-მა წარმოადგინოს თავისი ყოველთვიური შემოსავალი და გასავალი. ამ 20 თეთრის მეშვეობით ამ სამსახურის შემოსავლები 8 მილიონია თვეში, საინტერესოა, რაში იხარჯება ეს თანხა? ასევე, მოვითხოვთ, გაუქმდეს იმ 20 თეთრის ჩამოჭრის წესი, რომელიც აბსოლუტურად უკანონოა“, – განაცხადა შუკაკიძემ. (რეპორტიორი)

## დედაქალაქის მერიასთან სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა




დედაქალაქის მერიასთან მუნიციპალური სამსახურებიდან ბოლო დროს განთავისუფლებულმა პირებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათი პროტესტი სამსახურიდან განთავისუფლებას უკავშირდებოდა და აქციის მონაწილეები დაგეგმილი ატესტაციის გადავადებასა და საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ხელმძღვანელის პოსტიდან ალექსანდრე მარგიშვილის განთავისუფლებას მოითხოვდნენ.

სიტყვიერი დაპირისპირება მერიის დაცვის თანამშრომლებსა და აქციის მონაწილეებს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც აქციის რამდენიმე მონაწილე შენობაში შევიდა. ისინი მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრას ითხოვდნენ. (რეპორტიორი)



# ვალერი გელბახიანი „ალიას“ მოსალოდნელ აქციებსა და დამფინანსებლებზე კულუარულ ინფორმაციას უმხელს

**თუ ამერიკის ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ საჭიროა პოლიტიკური ღონისძიებების გატარება, ჩვენ ვიხილავთ კიდევ ერთ რევოლუციას საქართველოში!..**

**რის გამო შეიძლება დაიჭირონ ალასანია?**

პრემიერ-მინისტრი 19 წლის იოსებ გიორხელიძის გატაცების უკან „ნაციონალების“ კვალს ხედავს: „დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერა. ალექსანდრე ჭიკაიძე სულ რაღაც ერთი თვის წინ საუბრობდა, რომ ეს არის ორგანიზებული ჯგუფი ასეთი კრიმინალების, გამტაცებლებ-ისა და ყაჩაღების ხელში იყო მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო. ესენი მართავდნენ საქართველოს...“ გიორხელიძე კუდ-ის და სოდ-ის ყოფილმა თანამშრომლებმა გაიტაცეს, პრემიერ-მინისტრის განცხადების პათოსს კი მოსახლეობის იმდენი პროცენტი უჭერს მხარს, რამდენმაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოიყვანა. თუმცა დღეს პრემიერ-მინისტრს ამ განცხადების გამო, გამტაცებლების, მკვლელების, ყაჩაღების დამკვეთები ადანაშაულებენ და ამ განცხადებას პოლიტიკური დევნილის სარჩულს უდებენ. არადა, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური დევნის ფაქტებზე, სახელმძღვანელოები დაიწერება...

**იურისტი, ყოფილი პარლამენტარი ვალერი გელბახიანი ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ალიას“ კითხვებს უპასუხებს:**

– ორი დღეა ვისმენ ისეთ განცხადებებს, რომ გადავწყვიტე ჩემი მოსაზრება დავაფიქსირო, ამ შემთხვევაში არ მინდა, ვინმემ გამიგოს, რომ პრემიერ-მინისტრს ვაკრიტიკებ, ან მისთვის ცუდი მსურს. ის განცხადება, რაც მან გამტაცებლებზე გააკეთა, შეიცავს პიარის ელემენტებს. „ნაციონალური მოძრაობა“ ჭირსაც წაულია, მაგრამ როცა ხელისუფლების პირველი პირი აკეთებს განცხადებას გამოძიების ნაწილში და ბრალდებას აცხადებს, ეს უკვე საშიშროების შემცველია, რადგან დღეს თუ „ნაციონალებზე“ კეთდება მსგავსი განცხადება, ხვალ შეიძლება სხვა პოლიტიკურ პარტიას წაუყენონ ბრალდება. სახელმწიფოს პირველი პირი არ უნდა ერეოდეს გამოძიებაში არ უნდა აკეთებდეს საბრალდებო განცხადებებს, არ უნდა განმეორდეს ის, რაც ხდებოდა სააკაშვილის პერიოდში, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი უნდა იყოს დაცული. რატომღაც ეს ხელისუფლება წინა ხელისუფლების მსგავსად თვლის, რომ შეიძლება პიარით შეფუთო ყველანაირი ტყუილი, ეს კი სამწუხაროდ, გავლენას ახდენს სასამართლოზე.

**— მე გეთანხმებით მხოლოდ ერთ ნაწილში, რომ პრემიერ-მინისტრი, როგორც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი არ უნდა აკეთებდეს განცხადებას, რაც აღიქმება პროკურატურასა და სასამართლოზე ზეწოლად, მაგრამ რეალურად ქვეყანა იმყოფება საომარ პირობებში კრიმინალურ დაჯგუფებასთან, რომელიც პოლიტიკური პარტიის საფარქვეშ მოქმედებს. ახლა თქვენ მელაპარაკებით მაღალ სტანდარტზე, რაც არის გამორიცხული. ამ ფონზე როგორ მოიქცეს პრემიერი?**

– პრემიერმა მოქალაქეებს გარანტია უნდა მოგვცეს, თუ ერთ შემთხვევაში ის არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, მეორე შემთხვევაშიც დაარღვევს. მე არ მინდა გამიჩნდეს საფრთხე იმისა, რომ ჩემს მიმართაც ანალოგიურს ჩაიდენს, არსებობს სამართალდამცავი ორგანოები, გამოვიდეს მაღალჩინოსანი და თქვას იგივე, რაც თქვა პრემიერმა, ამას ვითხოვ მისგან. როცა პრემიერი აკეთებს ასეთ განცხადებას, ეს საფრთხის შემცველია, რადგან ამ შემთხვევაში პოლიტიკა ახდენს გავლენას სამართალზე და მეორდება ის, რასაც ვისმენდით 9 წელი. მათ განცხადებებს ისმენს საერთაშორისო სამყარო, მერე გვიკვირს, რატომ იღებენ ასეთ რეზოლუციას. ის, რომ ხელისუფლებაში კრიმინალები იყვნენ, ამის თქმის უფლება ჩვენ გვაქვს, მაგრამ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს. 7 წელია პირადად მე უკანონობისთვის სასჯელს ვიხდი, ეს გაცხადდა პირველი პირისგან და ეს ჭირი ვერ მოვიშორე, მე ვარ მსხვერპლი, პირველი პირის სწორედ ასეთი პოლიტიკური განცხადებისა.

**— შს მინისტრმა 10 სექტემბერს „ალიასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ანტიკონსტიტუციური გზებით სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა. 315-ე მუხლით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სხვათა შორის, ამ მუხლით 2008 წელს ბადრი პატარკაციშვილი გაასამართლეს და თქვენც ამ მუხლის მსხვერპლი ხართ. ამ საკითხის მიმართაც უნდა იყოს კორექტული პრემიერ-მინისტრი?**

– ვიდრე კანონიერ ძალაში არ შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, ხელისუფლება კომენტარებისგან თავს უნდა იკავებდეს. პარლამენტის წევრს არანაირი შებოჭვა არა აქვს და მათ შეუძლიათ ასეთი ტიპის განცხადებების გაკეთება, რადგან მათი განცხადება სახელმწიფოს განცხადების ტოლფასი არ არის. მაგრამ ვიმეორებ, დირექტივა არ უნდა მოდიოდეს პოლიტიკური დაკვეთით. ამას მერე ვერავინ ასწორებს. მე არ ვიცი, რა მტკიცებულებებია საქმეში, 315-ე მუხლი არის წმინდა პოლიტიკური, ყველამ უნდა იცოდეს ის, რომ ერთადერთი მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის კანონში არის ჩადებული, გახლავთ 315-ე მუხლი, სხვა მუხლი არ გვაქვს. ხელისუფლების გადატრიალება არის პოლიტიკური დანაშაული, ამიტომ, როცა საქმე ეხება განსაკუთრებულ გამონაკლისს, ასეთ შემთხვევაში ყველაფერი უნდა იყოს სკრუპულოზურად გაწერილი. ამავდროულად უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი კატეგორიის საქმე არის საერთაშორისო აუდიტორიის შეფასების საგანი. ყველა გამადიდებელი შუშით აკვირდება, რის საფუძველზე მიმდინარეობს გამოძიება, აქედან გამომდინარე, გამოძიება უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

**— იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკის სახელს ამოფარებულმა კრიმინალებმა ჩრდილში გადაიწიონ, ისინი, პირიქით, აქეთ უტევენ ხელისუფლებას. სააკაშვილმა ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გამოაქვეყნა, რაც, ფაქტობრივად, მისი საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია იყო, როგორც ჩანს, ის ბედავს და ემზადება პოლიტიკაში დასაბრუნებლად. საგულისხმოა, რომ 8 ნოემბერს ირაკლი ალასანიას პარტია ჩაატარებს ყრილობას და მას კვლავ პარტიის თავმჯდომარედ აირჩევენ, პრეზიდენტიც დამოუკიდებელი თამაშისკენ მიილტვის, რა პროცესები იწყება, თქვენი აზრით?**

– მოდით, ასე ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილი არის პარტიის თავმჯდომარე, მეორე მხრივ ის არის სისხლის სამართლებრივად დევნილი. აქედან გამომდინარე, მას სჭირდება მეტი აჟიოტაჟი, რომ მიიქციოს იყოს ყველა იმ ოპერატიული მოქმედების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მიზნის მიღწევას. ამიტომ სააკაშვილის საარჩევნო პროგრამის დაანონსებას არანაირი შესაბამისობა არ გააჩნია მის რეალურ ჩანაფიქრთან, ეს არის მხოლოდ იდეოლოგიური სვლა. მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მიიპყროს საზოგადოების ყურადღება. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილს აქვს ფარული გეგმა, რომელიც უნდა ამოქმედდეს. არა ის, რაც ქვეყნდება, არამედ სხვა, ეს შეიძლება იყოს ის, რასაც თქვენ ვარაუდობთ. შეიძლება კულისებში მიმდინარეობს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან გარიგება, მათი მოქმედების გეგმას ჩვენ არავინ გაგვაცნობს და არც არავინ გამოგვიქვეყნებს. ამიტომ, ჩვენ ის კი



**„სახელმწიფოს პირველი პირი არ უნდა ერეოდეს გამოძიებაში, არ უნდა აკეთებდეს საბრალდებო განცხადებებს, არ უნდა განმეორდეს ის, რაც ხდებოდა სააკაშვილის პერიოდში, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი უნდა იყოს დაცული. რატომღაც ეს ხელისუფლება წინა ხელისუფლების მსგავსად თვლის, რომ შეიძლება პიარით შეფუთო ყველანაირი ტყუილი, ეს კი, სამწუხაროდ, გავლენას ახდენს სასამართლოზე“**

ყურადღება არა მხოლოდ ქვეყნის გარეთ, არამედ ქვეყნის შიგნით, ვინც ამ ხელისუფლების უკმაყოფილოა. ის ეძებს ახალ საშუალებას, დაიკმაყოფილოს მისი ინტერესი, პოლიტიკური გადასახედიდან ის იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს აქტიური პოლიტიკოსი, მაგრამ მეორეა, როდის იყო, რომ ასეთი დაანონსებული პროგრამა მიზანს აღწევდა?!. სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რასაც აანონსებს, არ არის გამიზნული იმისთვის, რომ იმას შეასრულებს. ტაქტიკა მოითხოვს, რომ დაფარული არ უნდა დავიჯეროთ, რაც სააკაშვილმა გამოაქვეყნა, არამედ უნდა ვეძებოთ, რა იმალება ამ დოკუმენტის მიღმა. „ნაციონალური მოძრაობა“ ჩასაფრებულია, ხელისუფლების ყველა შეცდომა გამოიყენონ და იყენებენ კიდეც. მე ვხედავ, რომ მოქმედი ხელისუფლება კარგად ვერ ერკვევა პიარტექნოლოგიებში და „ნაციონალებს ჰყავთ წამოკიდებული. საინფორმაციო ომი „ნაციონალების“ სასარგებლოდ მიმდინარეობს. რაფალიანცის საქმე ისე

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეროსი კიწმარიშვილის საქმეზე მორიგი ექსპერიმენტი ჩატარდა



ეროსი კიწმარიშვილის საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, იჯდა თუ არა ავტომობილის უკანა სავარძელზე სხვა პირი. სპეციალისტებმა 15 ოქტომბერს ექსპერიმენტით სავარაუდო სურათი აღადგინეს, თუ მკვლელობის შემთხვევაში, რა მიმართულებით და რა ვითარებაში მოხდებოდა გასროლა.

მკვლელობის ინსცენირების იდეა ეროსი კიწმარიშვილის ძმას წინა ექსპერიმენტის დროს გაუჩნდა. ზურა კიწმარიშვილი ვარაუდობს, რომ ავტომობილის უკანა სავარძელზე უცხო პირი იმყოფებოდა, რომელმაც მის ძმას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. სწორედ ამიტომ ექსპერიმენტში პისტოლეტიც გამოიყენეს. საგამოძიებო შემოწმება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხარაულის სახელობის სამედიცინო სასამართლო ექსპერტებმა ჩაატარეს. ექსპერიმენტს საქმის მთავარი პროკურორი და დამოუკიდებელი ექსპერტები ესწრებოდნენ.

კვლევის დასრულების შემდეგ მაია ნიკოლეიშვილმა კიწმარიშვილის ავტომობილში უცხო პირის არსებობა გამორიცხა. მისი აზრით, ექსპერიმენტში მონაწილე პირის მდებარეობა და სისხლის კვალი ერთმანეთს არ დაემთხვა. ამ მოსაზრებას არ იზიარებს კიდევ ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი. ზაზა ალთუნაშვილი ფიქრობს, რომ ჩატარებულ ექსპერიმენტზე დასკვნების გაკეთება ნაადრევია.

ერთ კვირაზე მეტია, კიწმარიშვილის ძმა გამოძიების მიერ მოპოვებულ მასალებს პროკურატურაში ეცნობა. მან ამ მასალებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მათი შესწავლის დასრულების შემდეგ გამოძიებას ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

წარმოაჩინეს, თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ დაგეგმა ეს საქმე პოლიტიკურად და თითქოს, „ქართული ოცნების“ ხელი ურევია იმ ბავშვის გარდაცვალებაში. „ნაციონალებმა“ ისე შემოაბრუნეს თემა, რომ აქეთ გაუხადეს თავი გასამართლებელი. როგორ საუბრობენ „ნაციონალები“ პოლიტიკურ დევნაზე მაშინ, როცა მთელი მათი 9-წლიანი მოღვაწეობა კლასიკური მაგალითი იყო პოლიტიკური დევნისა. ახალი ხელისუფლების მოსვლის პირველივე დღიდან, ვაცხადებდი, რომ „ნაცმოძრაობა“ უნდა აიკრძალოს, როგორც დამნაშავე პოლიტიკური ძალა. ამის პრეცედენტი იყო ზვიად გამსახურდია თავის დროზე, გააუქმა კომპარტია და პარლამენტში ყველა იმ დეპუტატს შეუწყდა მანდატი, ვინც გასული იყო კომუნისტების სიით. ამის გამო ვენები არავის გადაუჭრია არც შიგნით და არც გარეთ. თუ შეფასდებოდა, რომ „ნაცმოძრაობა“ იყო დანაშაულებრივი ორგანიზაცია, გამოვიდოდა გადაწყვეტილება, რომ გაუქმდეს ასეთი პოლიტიკური ძალა, ბუნებრივია, ის მანდატებიც გაუქმდებოდა და „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ იქნებოდა ლეგიტიმური. ახლა მაინც გააკეთე, რომ ეს პოლიტიკური ძალა ცნო დამნაშავე ორგანიზაციად, მაგრამ ამის მცდელობა კი არ არის ხელისუფლების მხრიდან, პირიქით, ჰგონიათ, რომ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში, რომ სხვა პოლიტიკურმა ძალებმა არ წამოყონ თავი საქართველოში. ამიტომ ეს პინგ-პონგი, რომ თითქოს „ნაციონალები“ მობრუნდებიან ხელისუფლებაში და ამის გამო უნდა შევშინდეთ, ასე არ არის, ყველაფერს უნდა დავარქვათ თავისი სახელი. ეს არის გეგმა „ქართული ოცნების“, რომ ოპონენტად ჰყავდეთ „ნაციონალური მოძრაობა“. ისინი ფიქრობენ, ვიდრე მათი ოპონენტი იქნება „ნაციონალური მოძრაობა“, ისინი იქნებიან ხელისუფლებაში და ეყოლებათ დისკრედიტებული პოლიტიკური ძალა.

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას... ის არის ერთ-ერთი სერიოზული პოლიტიკური ფიგურა, მას აღიარებენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ერთ-ერთი რეიტინგული სფერო, ეს გახლავთ თავდაცვის სამინისტრო, რაც ნიშნავს, რომ ყველა მხრივ ალასანია აღწევს მიზანს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. რაც უფრო მეტად მოახლოვდება არჩევნები, ყველა პარტია დაიწყებს გაძლიერებას. ალასანიას ორი ამოცანა აქვს, მისმა რეიტინგმა გააჩინა საფრთხე იმისა, რომ ხელისუფლების მესვეურები ფიქრობენ, ალასანიას ასეთ განზომილებაში დატოვება ზრდის მის ავტორიტეტს და საჭიროა ის ჩამოშორდეს ხელისუფლებას. ეს ამოცანა გაჩნდა და მაშასადამე, დგება მეორე საკითხი, როგორ განიმტკიცოს თავდაცვის სამინისტროში პოზიციები, რომ ვერ გაბედონ მისი თამაშიდან გაყვანა და მეტიც, ვერ გაბედონ მასზე დევნა. ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ მან უნდა გააძლიეროს თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია. ამიტომ არის, რომ ის გადავიდა თავისი პარტიის გააქტიურებაზე. თუკი ალასანიას გაათავისუფლებენ, პარტიამ უნდა შეძლოს მისი დაცვა, ახლა ალასანია აგებს თავისი თავდაცვის ზღუდეს, თუ ალასანიას ვინმე აიძულებს, რომ ის გავიდეს თამაშიდან, არც ის არ არის გამორიცხული, ალასანიამ მოძებნოს პოლიტიკური პარტნიორი, ჩვენ ამ საკითხზე ვწერდით, რომ შესაძლოა, მისი პოლიტიკური პარტნიორი იყოს პრეზიდენტი მარგველაშვილი, მაგრამ ეს არ არის დადასტურებული. გამომდინარე იქიდან, რა პროცესებიც მიმდინარეობს, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთი მთლიანი ჯაჭვი.

— **შეიძლება ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის გააქტიურებას შორის ბმა ვიპოვოთ?**

– არაფერი გამორიცხული არ არის, ვიღაცა ვიღაცის ინტერესებს დასჭირდეს, ფაქტია, უცნაურად დაემთხვა დროში ალასანიასა და სააკაშვილის გააქტიურება, ფაქტობრივად, ისინი წინასაარჩევნო მდგომარეობაში ჩადგნენ, პოლიტიკა არ არის ძმაკაცობა, ბატონის ყმობა, პოლიტიკა არის ინტერესების თანხვედრა, შეიძლება გუშინდელ მტერს გაუხდე პარტნიორი საერთო ინტერესის გამო. სულაც არ გამოვრიცხავ, გუშინდელი მოწინააღმდეგეები ერთ პოლიტიკურ ბანაკში ვიხილოთ...

— **როგორ ფიქრობთ, ირაკლი ალასანია თავისი ნებით დატოვებს თავდაცვის მინისტრის პოსტს, თუ გაათავისუფლებენ?**

– ალასანიას რომ გაუშვებენ მინისტრის პოსტიდან, ამას სამი თვეა თქვენთან ინტერვიუში ვამბობ.

— **თქვენ იმასაც ამბობთ, რომ შესაძლოა, ალასანია დაიჭირონ არასწორად ჩატარებული ტენდერებისთვის...**

– ტენდერები ჩატარებულია სამინისტროში პირდაპირი წესით და არა საჯარო კონკურსის მეშვეობით, რაც შეიძლება გახდეს საბაბი იმისა, რომ ალასანიას მიმართ სამართლებრივი დევნა დაიწყოს.

— **ქვეყანა რუსეთთან ახალი სამხედრო კონფლიქტის საშიშროების წინაშე დგას. ამ შემთხვევაში ალასანიას ამ პოსტიდან წასვლა სახიფათო ხომ არ არის?**

– რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმება დიდი საფრთხეების შემცველია ჩვენი ქვეყნისთვის. ბათუმში შემოსულია ამერიკული ხომალდი, გააქტიურებულია ნატო, ხდება ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა, რაც რუსეთს საქართველოსთან დააკავშირებს. რაც რუსეთს საშუალებას მისცემს სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში დაღესტნიდან შემოვიდეს საქართველოში. საქართველომ მოულოდნელად განაცხადა, რომ ნატოს საწვრთნელ ბაზას აკეთებენ, ეს არის რუსეთის გამოწვევა და ისინიც გულზე ხელს არ დაიკრეფენ. ამ შემთხვევაში ქართული ხელისუფლების შეცდომაა, რომ ეს ხმამაღლა განაცხადა. უნდა ვივარაუდოთ, რომ შემოვლითი გზის თემა იმის შედეგია, რაც გაკეთდა ნატოსთან მიმართებაში. ამ ფონზე, როცა ბათუმში შემოდის ამერიკული ხომალდი, რუსეთი კი არა, ბავშვიც მიხვდება, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი იმ სქემის განსახორციელებლად, რომ რუსეთის მეზობელ ქვეყანაში შეიქმნას სასწავლო ცენტრი ნატოს ეგიდით. ბუნებრივია, ამას რუსეთის მხრიან მწვავე რეაქცია ექნება და ღონისძიებას დაგეგმავს. რითიც ეს ქვეყანა დაგვემუქრა, ყველაფერი შეგვისრულა. გვითხრა, დაგბომბავთო? – დაგვბომბა... გვითხრა, ომს გამოგიცხადებთო? – გამოგვიცხადა. გაგვაფრთხილა, ჭკვიანად იყავით, ნატოში შესვლა არ გაბედოთო და მაინც არ ვისვენებთ, არ გვილებენ ამ ნატოში და თანაც, რუსეთის მუქარა რეალური საფრთხეა. თუ რეალურად დაიწყება ნატოს საწვრთნელი ბაზის მშენებლობა, დარწმუნებული ვარ, რუსეთის მხრიდან გველოდება საფრთხე. პირველი საფრთხე გვემუქრება კონფლიქტურ რეგიონებში, ამის გარდა ჩვენ გვაქვს ეთნიკურად დაძაბული რეგიონები და უნდა ველოდოთ, რომ ამ მიმართულებით შეიქმნება პრობლემები. იქნება პროვოკაციები, რომელსაც მოჰყვება ძალისმიერი ზემოქმედება, რამაც სამწუხაროდ, შეიძლება საომარი მოქმედება გამოიწვიოს.

— **და თუკი ამ პროცესში ალასანია გადააყენეს, როგორი იქნება ამერიკელების პოზიცია?**

– ამერიკელებს ისედაც აქვთ ეჭვები, რომ საქართველოში შეგნებულად მიმდინარეობს პროდასავლური ძალების ჩამოშორება ხელისუფლებიდან, ეს ეჭვები ჯერ პოლემიკის დონეზე რჩება, მაგრამ როგორც კი რეალობაში გადაიდგმება ასეთი ნაბიჯი, ბუნებრივია, ამერიკისთვის ჩნდება სამოქმედო არეალი, რომ შეფასება მისცენ ასეთ მოვლენებს. თუ ამერიკის ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ საჭიროა პოლიტიკური ღონისძიებების გატარება, ჩვენ ვიხილავთ კიდევ ერთ რევოლუციას საქართველოში!.. მინდა გითხრათ კულუარული ინფორმაცია, რომ გაზაფხულიდან საქართველოში იგეგმება სახალხო გამოსვლები, აქციები, ფინანსურ რესურსებს მოიზიდავენ საერთაშორისო ფინანსური პოლიტიკური ცენტრებიდან, ასეთი რევოლუცია დაუფინანსებლად არ ხდება. ბიძინა ივანიშვილს ნუ ჰგონია, რომ მსოფლიოში მხოლოდ მას აქვს ბევრი ფული და სხვას არავის, ამერიკელებმა კი ბევრჯერ დაანახეს სამყაროს, რომ ბევრი ფული აქვთ, ვიდრე ერთ კაცს. ამ რევოლუციის სათავეებში „ნაციონალები“ რომ ვერ იქნებიან, ეს ცხადია, რადგან მათ ხალხი არ გაჰყვება, ზუსტად მაგისთვის ამზადებენ, ეტყობა, ალასანიას პარტია გაძლიერდეს და თუ რამე, მან დაიწყოს ქუჩის მოქმედებები.

— **ამერიკელებმა ალასანია ერთხელ უკვე გამოსცადეს და დაინახეს, რომ მას არ შეუძლია, გახდეს ლიდერი, სათავეში ჩაუდგეს ქუჩის აქციებს და აიყოლიოს ხალხი.**

– მართალი ხართ, ის არ გახლავთ ქარიზმატული პოლიტიკოსი, მაგრამ მოვლენა გახდის იძულებულს, ალასანიას არ უყვარს ქუჩის აქციები, ის კაბინეტურს არჩევს, ასე იყო თავის დროზე ნინო ბურჯანაძე, კაბინეტიდან არ გამოდიოდა, მაგრამ როცა დასჭირდა, ჩექმებიც კარგად ჩაიცვა...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**ასეთი რევოლუცია დაუფინანსებლად არ ხდება. ბიძინა ივანიშვილს ნუ ჰგონია, რომ მსოფლიოში მხოლოდ მას აქვს ბევრი ფული და სხვას არავის, ამერიკელებმა კი ბევრჯერ დაანახეს სამყაროს, რომ ბევრი ფული აქვთ, ვიდრე ერთ კაცს. ამ რევოლუციის სათავეებში „ნაციონალები“ რომ ვერ იქნებიან, ეს ცხადია, რადგან მათ ხალხი არ გაჰყვება, ზუსტად მაგისთვის ამზადებენ, ეტყობა, ალასანიას პარტია გაძლიერდეს და თუ რამე, მან დაიწყოს ქუჩის მოქმედებები.**



**ფაქტია, უცნაურად დაემთხვა დროში ალასანიასა და სააკაშვილის გააქტიურება, ფაქტობრივად, ისინი წინასაარჩევნო მდგომარეობაში ჩადგნენ, პოლიტიკა არ არის ძმაკაცობა, ბატონის ყმობა, პოლიტიკა არის ინტერესების თანხვედრა, შეიძლება გუშინდელ მტერს გაუხდე პარტნიორი საერთო ინტერესის გამო.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „შეიძლება ითქვას, რუსეთმა აიწყვიტა“



უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმს შორის ახალი ხელშეკრულების გაფორმებას ეხმაურება: „რუსეთის ეს ნაბიჯები შეიცავს საფრთხეს, რომ მსოფლიოშია არც ერთი საერთაშორისო კანონი არ მოქმედებდეს, ვინაიდან ერთმა სახელმწიფომ, შეიძლება ითქვას, აიწყვიტა“.

მისი თქმით, რუსეთი ემუქრება როგორც საქართველოს, ისე ევროპას და მსოფლიო წესრიგს. ბერძენიშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არის ქვეყნის უმაღლესი ღირებულება და რუსეთის ქმედებებზე ხელისუფლებას შესაბამისი რეაგირება უკვე აქვს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „წალკის რაიონის გამგებელი „ნავთლუღის სპეცოპერაციაში“ მონაწილეობდა“



უფლებადამცველმა მერაბ ბლადაძემ წალკელი ეკომიგრანტების მიერ პრემიერისთვის შემუშავებული პეტიცია წარადგინა.

„პეტიციაში საუბარია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა უსუსურია, რომელიც შეგნებულად აწყობს საბოტაჟს ხელისუფლების წინააღმდეგ. 600-მდე ოჯახი იქნა გამოსახლებული, რომლის ფონზეც შეიქმნა უამრავი სოციალური პრობლემა. მცხოვრებლები ითხოვენ, რომ შეიქმნას კომისია, რომელიც საცხოვრებელი სახლების უზრუნველყოფის მექანიზმს შეისწავლის. ადგილობრივი თვითმმართველობა მუშაობს, რომ, რაც შეიძლება აქტიურად მოხდეს ადგილობრივი ეკომიგრანტების უკუმიგრაცია. ამ ყველაფერს მთავრობამ სასწრაფოდ უნდა მიაქციოს ყურადღება“, – განაცხადა ბლადაძემ.

მან ნავთლუღში ჩაცხრილული ბიჭების საკითხი გაიხსენა და სამართალდამცავ უწყებებს წალკის გამგებლის საქმით დაინტერესებისკენ მოუწოდა.

„მაქვს ინფორმაცია, რომ ეს ახალგაზრდები წალკის რაიონის სოფელ ავრალოში სტუმრად იყვნენ ნათლობაში. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, როგორ მოხვდნენ ისინი წალკაში. მე როგორც მითხრეს, იმ დროს წალკაში ერთ-ერთ სამართალდამცავ უწყებას ამჟამინდელი გამგებელი ილია საბაძე ხელმძღვანელობდა და უშუალოდ მონაწილეობდა ამ სპეცოპერაციაში. მე, როგორც უფლებადამცველი, მოვუწოდებ გამოძიებას, გამოიკვლიოს, რა კუთხით იყო ეს ადამიანი ჩართული ამ სპეცოპერაციაში“, – განაცხადა ბლადაძემ. (რეპორტიორი)

# სააკაშვილის პრეზიდენტობის დროინდელი საიდუმლო თათბირების ჩანაწერები!!!

## ვის აწყობს აუდიოფაილების ინტერნეტში გავრცელება

ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციით, ცოტა ხანში, სოციალურ ქსელში მიხეილ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის" შესახებ ისეთი მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნება იგეგმება, რომ თავად ექსპრეზიდენტისა და მისი გარემოცვის წევრების არათუ პოლიტიკურ საქმიანობას დაესმება წერტილი, არამედ მათი კონკრეტული დანაშაულებისთვის გასამართლებას თავად დასავლეთი მოითხოვს, მოითხოვენ ის ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებიც დღემდე სააკაშვილის მხარდამჭერებად ითვლებიან. ეს იქნება გზავნილი იმ ევროდეპუტატებისა და კონგრესმენებისა თუ სენატორებისთვისაც, რომლებიც სააკაშვილის პოლიტიკურ დევნაზე პერიოდულად აკეთებენ განცხადებებს. წყარო აცხადებს, რომ ამ ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ დადასტურდება, რომ მიხეილ სააკაშვილი თავად იყო იმ გახმაურებული დანაშაულების ჩამდენი, რასაც მის ხელისუფლებას დიდი ხანია, აბრალებენ, რიგ შემთხვევაში კი, თავად მონაწილეობდა ამ დანაშაულთა ჩაფარცხვის საქმეში. მისივე თქმით, საზოგადოება ბევრი ისეთი დანაშაულის შესახებაც შეიტყობს, რომელზეც დღეს წარმოდგენაც კი არ აქვს.

წყაროს ინფორმაციით, უცხოეთში მყოფი სააკაშვილის ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, მალე გამოაქვეყნებს ამ აუდიოჩანაწერებს, რომლებიც ჯერ კიდევ 2004 წლიდან კეთდებოდა. „მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი, ამერიკის დახმარებით მოვიდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას კონტროლირებადი მთავრობა ჰყავდა საქართველოში, სააკაშვილს ბოლომდე არ ენდობოდნენ. ამიტომ, მათ მოახერხეს აგენტის ჩანერგვა მის გარემოცვაში, რომელმაც შეძლო და სააკაშვილის ყველა იმ კაბინეტში, სადაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხები წყდებოდა, მოსასმენი დაამონტაჟა. ჩანაწერები იგზავნებოდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში. ამერიკის ხელისუფლება ხომ ისედაც იღებდა ინფორმაციებს სხვადასხვა წყაროებიდან საქართველოს ხელისუფალთა საქმიანობის შესახებ, თუმცა, ამას არ დასჯერდნენ და იმ თათბირების დეტალებიც კი იცოდნენ, რომლებიც პრეზიდენტსა და მის ვიწრო გარემოცვას შორის იმართებოდა. რაც შეეხება თავად მოსასმენ აპარატურას, მას აპარატურას ვერც ვუწოდებთ. ეს არის ნანოტექნოლოგიებით დამზადებული ულტრათანამედროვე მოსასმენი საშუალება, რომელიც ძალიან მცირე ზომისაა, დამზადებულია ისეთი მასალით, რომ მისი აღმოჩენა, მეტალოდეტექტორებითა და სხვა აღმომჩენი საშუალებებით, შეუძლებელია. ამგვარი ფარული მოსასმენი საშუალებები, მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახურებს აქვთ და მათ შორის, ამერიკელებს". – აცხადებს წყარო.

წყარო არ აკონკრეტებს, ვინ არის ის ყოფილი მოხელე, ვისაც ჩანაწერების ასლები აქვს, ან სად იმყოფება ამჟამად. წყარო არც იმას აკონკრეტებს, ეს ის ადამიანია თუ არა, რომელიც ამერიკელებმა პრეზიდენტის გარემოცვაში ჩანერგეს, თუ მას აგენტმა გადასცა ჩანაწერის ასლები.

აშშ-ს ადმინისტრაციას რომ ეს ჩანაწერები ექნება, ცხადია, მაგრამ კიდევ ვის ხელში შეიძლება აღმოჩენილიყო და რა გზით? ჩანაწერების ავტორს, ანუ ჩანერგილ აგენტს, შეეძლო აშშ-ში გაგზავნამდე ასლები გაეკეთებინა და შემდეგ ან გაეყიდა, ან ვინმესთვის ეჩუქებინა პირადი მოტივებით, ან ვინმეს ამ აგენტისგან მოეპარა ეს ასლები, ან დაეკოპირებინა.



„ერთ-ერთი ჩანაწერი 2007 წლის 7 ნოემბრით თარიღდება. ეს ჩანაწერი შავნაბადას რეზიდენციაშია გაკეთებული. ჩანაწერის შინაარსის მიხედვით, ეს ის თათბირია, რომელზეც გადაწყდა ტელეკომპანია „იმედის" დარბევა. დარბევის შესახებ ბრძანება გასცა მიხეილ სააკაშვილმა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი მას ოპოზიციაში გადასვლით დაემუქრნენ, თუ სასწრაფოდ არ გაგზავნიდა სპეცრაზმს „იმედის" დასარბევად"

ახლა განვიხილოთ, ვის შეიძლება აწყობდეს ამ ასლების გავრცელება?

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, „ნაციონალებს". ამ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, თითქოს ზიანდება „ნაციონალების" ლიდერი და მთელი გუნდი, მაგრამ, მეორე მხრივ, პიარისთვის ურიგო თემა არ იქნება. ჯერ ერთი, იტყვიან, რომ ეს არის ფალსიფიკაცია და „მთავარი ოპოზიციური ძალის" დისკრედიტაციას ცდილობს ხელისუფლება. ჩანაწერების ავთენტურობის დამადასტურებელი ჩანაწერიც რომ დაუდო, მაინც ექნებათ სათქმელი, რომ არასახელმწიფოებრივად იქცევიან სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის საიდუმლო თათბირების გამოქვეყნებით და შეიძლება ისიც გაიხსენონ, ღარიბაშვილის გარემოცვა პრეზიდენტის სახელმწიფო დაცვის სამსახურის ხარჯებზე დაჟინებით რომ მოითხოვდა „საიდუმლო" გრიფის მოხსნას, მარგველაშვილმა ეს კანონის სრული დაცვით გააკეთაო. შეუძლიათ ჩანაწერების გავრცელება სააკაშვილის გავრცელებულ 7-პუნქტიან სამოქმედო გეგმასაც მიაბან, სადაც ის შეცდომებს აღიარებს. იტყვიან, ხელისუფლებას, რომელმაც დაპირებები ვერ შეუსრულა ხალხს, ეშინია, „ნაციონალების" მხარდამჭერებად არ იქცნენო და ა.შ. „ნაციონალების" ფანტაზია პიარის კუთხით, უსაზღვროა.



„ჩანაწერებში 2011 წლის 26 მაისის ამბებიც ფიგურირებს. წყაროს ინფორმაციით, თათბირი უკვე აქციის დარბევის შემდეგ, ღამის 4 საათზე გაიმართა და მას ვანო მერაბიშვილი, ამირან მესხელი, ზურაბ ადეიშვილი და დათა ახალაია ესწრებიან. ამ დროისთვის ხელისუფლებისთვის უკვე ცნობილია, რომ აქციამ უმსხვერპლოდ არ ჩაიარა და 2 ადამიანი დაიღუპა"

წესით, „ოცნებას" ამ ჩანაწერების გავრცელება არაფერს არ აძლევს, რადგან სააკაშვილის დასავლელმა მფარველებმა და საქართველოს მოსახლეობამ ისედაც ყველაფერი იცის, მაგრამ სააკაშვილის პროგრამასთან მიმართებაში შეიძლება მართლაც აწყობდეს, ხალხს კიდევ ერთხელ შეახსენებენ „ნაციონალების" და პირადად ექსპრეზიდენტის იმ დანაშაულებს, რომლებმაც არაერთო ადამიანი იმსხვერპლა და უამრავი ოჯახი გააუბედურა.

წყაროს ინფორმაციით, მან დანამდვილებით ის იცის, რომ ამგვარი ჩანაწერები ნამდვილად კეთდებოდა სახელმწიფო კანცელარიაში მდებარე სააკაშვილის კაბინეტში, შემდეგ კი ავლაბრის, შავნაბადისა და ბობოყვათის რეზიდენციებში. მისი თქმით, მან თავად მოისმინა მხოლოდ რამდენიმე ისეთი ჩანაწერი, რომლებიც ცალსახად ამტკიცებს სააკაშვილისა და მისი გარემოცვის – მინისტრების, დეპუტატების, მრჩევლების, უშიშროების საბჭოს წარმომადგენლების, შსს-ს სპეცსამსახურების უფროსების არაერთ სისხლის სამართლის დანაშაულს.

ახლა კი იმ ფაქტების მხოლოდ ნაწილის შესახებ მოგახსენებთ, რომლებიც, „ალიას" წყაროს ინფორმაციით, საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი. მისი თქმით, ჩანაწერები მოიცავს 2004-2013 წლებს – მიხეილ სააკაშვილის ორი ვადით პრეზიდენტობის სრულ პერიოდს. ერთ-ერთი ჩანაწერი 2007 წლის 7 ნოემბრით თარიღდება. ეს ჩანაწერი შავნაბადას რეზიდენციაშია გაკეთებული. ჩანაწერის შინაარსის მიხედვით, ეს ის თათბირია, რომელზეც გადაწყდა ტელეკომპანია „იმედის" დარბევა. დარბევის შესახებ ბრძანება გასცა მიხეილ სააკაშვილმა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი მას ოპოზიციაში გადასვლით დაემუქრნენ, თუ სასწრაფოდ არ გაგზავნიდა სპეცრაზმს „იმედის" დასარბევად. ამ თათბირს, მათ გარდა, ესწრებოდნენ ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დათა და ბაჩო ახალაიები, ამირან მესხელი, ერეკლე კოდუა, კახა ლომაია, გიგი უგულავა, გივი თარგამაძე, გოკა გაბაშვილი, გელა ბეჟუაშვილი და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანი და დეპუტატი. წყაროს თქმით, ჩანაწერში გარკვევით ისმის მთელი თათბირის მიმდინარეობა, მათ შორის სააკაშვილის სატელეფონო საუბრები ამერიკელ სენატორებთან, ჯონ მაკკეინთან და აწ გარდაცვლილ რიჩარდ ჰოლბრუკთან. მათ სააკაშვილს „იმედის" დარბევის ნებართვა მისცეს და იმასაც შეჰპირდნენ, რომ დასავლეთში ამ საქმესთან დაკავშირებით პრობლემებს თავად მოუგვარებდნენ. სენატორებმა ისიც უთხრეს სააკაშვილს, რომ ამ ყველაფრის თაობაზე გარანტიები, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტისგან, დიკ ჩეინისგან უკვე ჰქონდათ მიღებული.

ერთ-ერთი ჩანაწერი არის ისევ შავნაბადაზე ჩატარებული თათბირი და ის სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მონაწილე პირების გადარჩენას შეეხება. ჩანაწერი 2006 წლის 2 მარტს ყოფილა გაკეთებული. ამ თათბირს ესწრებიან ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი და დათა ახალაია. სააკაშვილი მერაბიშვილსა და დათა ახალაიას ეუბნება, რომ მან არაერთი კონსულტაცია გაიარა, მათ შორის, უცხოელებთან და სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია, რომ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### რას ყვებიან მეზობლები გიორხელიძის გატაცების შესახებ



19 წლის იოსებ გიორხელიძის მეზობლები 10 ოქტომბერს მომხდარ გატაცებას არასარწმუნოდ მიიჩნევენ.

„გიორხელიძე ტყვეობიდან დახსნის მეორე დღეს, დილით ვნახე, მაღაზიაში მიდიოდა. ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, გამიკვირდა, ძალიან ძლიერი უნდა იყო, ეს რომ შეძლო. როცა მომხდარის შესახებ გავიგე, შიშით არ მეძინა, ის კი ისეთი ამაყი იყო, შემშურდა, მის ადგილზე ერთი წელი ლოგინიდან ვერ ავდგებოდი", – ყვება მეზობელი. მეზობლების თქმით, გიორხელიძეების ოჯახი, კორპუსის ახალი ბინადრები არიან და მათ იშვიათად ხედავდნენ. „დაახლოებით ერთი წელია, რაც აქ შეიძინეს ბინა, თუმცა ძალიან იშვიათად ვხედავდით. ეხლაც იმიტომ ჩამოსულან თბილისში, რომ შვილს, იოსებს კუჭის ოპერაცია გაუკეთეს. მგონი, ზედმეტი წონის გამო".

გიორხელიძეების მეზობლები გაკვირვებას ვერ მალავენ და უკვირთ როგორ შეძლეს გამტაცებლებმა 19 წლის იოსების სახლიდან ისე გაყვანა რომ არც ერთ მათგანს არაფერი გაუგია. „ძალიან მშვიდი სამეზობლო ვართ, ჩვენს სადარბაზოში მცირედი ხმაურიც შესამჩნევია, ამიტომ ყველას გვიკვირს, როგორ შეძლეს, ამხელა ბიჭი ისე გაეტაცებინათ, რომ ვერავინ ვერაფერი გავიგეთ?!. გავრცელებული ინფორმაციით, 19 წლის გიორხელიძე 10 ოქტომბერს ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### გაზის აფეთქების შედეგად მამაკაცი მძიმედ დაშავდა

თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძლიერი აფეთქება მოხდა, რაც, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია, რის შედეგადაც კერძო სახლი ჩამოინგრა. ნანგრევებიდან ამოყვანილია ერთი მამაკაცი, რომელიც მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„აფეთქების შედეგად დაზიანება მიიღო იქ მცხოვრებმა არტურ მიხოიანმა, რომელიც მოჰყვა ნანგრევებში, სახლი იყო ბარაკის ტიპის ერთსართულიანი, დაახლოებით 50 კვ.მ ფართობის, რომელიც ამჟამად მთლიანად დანგრეულია. მოქალაქე იყო კონტაქტური, როდესაც მაშველები მივიდნენ ადგილზე. ამის შემდეგ ის გადაიყვანეს რეფერალურ საავადმყოფოში", – განაცხადა თბილისის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კობა ბრეგვაძემ. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

გირგვლიანის მკვლელობის გამო, ციხეში უნდა ჩაჯდნენ კუდ-ის ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ პროცესებში – ოლეგ მელნიკოვი, გია ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე გაჩავა და მიხეილ ბიბილურიძე, ხოლო თანამდებობები ფორმალურად უნდა დატოვონ დათა ახალაიამ, შსს-ს გენინსპექციის უფროსმა, ვასილ სანოძემ და გურამ დონაძემ. იქვე, სააკაშვილი უშუალოდ მერაბიშვილსა და დათა ახალაიას ავალებს, რომ ოთხეულს გარანტიებს აძლევს, ისინი მცირე სასჯელს მიიღებენ, ციხეში განსაკუთრებული პირობები ექნებათ და მათი ოჯახის წევრების მატერიალურ მდგომარეობაზეც იზრუნებენ. რატომღაც, ოლეგ მელნიკოვი დასაპატიმრებელთა სიიდან ამოვარდა. ის კუდ-ს უფროსის მოადგილის პოსტიდან მოხსნეს და უკრაინაში გაუშვეს.

ერთი ჩანაწერი 2007 წლის 16 მარტს არის გაკეთებული და ისიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ეხება. პრეზიდენტთან ამ თათბირს, ისევ ვანო მერაბიშვილი, დათა ახალაია და ზურაბ ადეიშვილი ესწრებიან. სააკაშვილი სამივეს აძლევს დავალებას, რომ როგორმე გაანეიტრალონ სანდრო გირგვლიანის დედა, ირინა ენუქიძე და ამისთვის არაფერი დაიშურონ.

ჩანაწერებში 2011 წლის 26 მაისის ამბებიც ფიგურირებს. წყაროს ინფორმაციით, თათბირი უკვე აქციის დარბევის შემდეგ, ღამის 4 საათზე გაიმართა და მას ვანო მერაბიშვილი, ამირან მესხელი, ზურაბ ადეიშვილი და დათა ახალაია ესწრებიან. ამ დროისთვის ხელისუფლებისთვის უკვე ცნობილია, რომ აქციამ უმსხვერპლოდ არ ჩაიარა და 2 ადამიანი დაიღუპა (შეგახსენებთ, რომ 26 მაისის ღამეს, ნიკა კვინტრაძე და სულიკო ასათიანი დაიღუპნენ, რომლებიც მეტრო „თავისუფლების მოედნის" მიმდებარე მაღაზიის სახურავზე იპოვეს). სააკაშვილი ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ ნინო ბურჯანაძესთან ჩანერგილი რომელიმე აგენტი იტყვის, რომ ბურჯანაძესა და აქციის სხვა ორგანიზატორებს, წინასწარ ჰქონდათ განზრახული ამ ხალხის დახოცვა და ამის ხელისუფლებისთვის გადაბრალება. ამ დროს ვანო მერაბიშვილი ამბობს, რომ ამ საქმეში გია უჩავა გამოდგება, იმას ვათქმევინებ, რომ ეს მკვლელობა ბურჯანაძემ და ბადრი ბიწაძემ დაგეგმესო. მერაბიშვილის იდეა ზურაბ ადეიშვილმა დაიწუნა, – მაგას არავინ ჭამს, რომ მიტინგის ორგანიზატორებმა დახოცეს ეს ხალხი, სპეცრაზმელები მართლა ველურებივით იქცეოდნენ და ეს ყველამ კარგად იცის, ამიტომ, დავიცადოთ, გათენდეს, ვნახოთ, დასავლეთს რა რეაქცია ექნება ამ ყველაფერზე და მერე გადავწყვიტოთ ამ ორი გვამის ამბავიო. სხვათა შორის, ასეც მოხდა – ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის ცხედრები, მეორე დღეს, 27 მაისს, მოგვიანებით „იპოვეს" სახურავზე და ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ცხედრებს შემთხვევით წააწყდა პოლიცია, რომელიც ტერიტორიას ათვალიერებდა. ეტყობა, ეს ვერსია, რომ ვითომ ორივე სახურავზე გამავალ სადენებს შეეხო და მათ დენმა დაარტყა, ამ თათბირის შემდეგ მოიფიქრეს. ამ ჩანაწერის მიხედვით, სააკაშვილი უშუალოდ მონაწილეობდა ორი ადამიანის მკვლელობის ჩაფარცხვაში.

ერთი ჩანაწერი ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმას ეძღვნება. მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილს ეთათბირება, როგორ უნდა მოკლან ივანიშვილი. სააკაშვილის გეგმის მიხედვით, სამთავრობო დაცვამ უნდა გაანეიტრალოს ივანიშვილის დაცვა მისავე შუშის სახლში, სამთავრობო დაცვაში შერეული კუდ-ის აგენტები მოახდენენ პროვოკაციას, გაისვრიან იარაღიდან, რასაც ივანიშვილის დაცვის მხრიდან მოჰყვება სროლა და ამ ორმხრივ სროლაში, მოკლავენ ივანიშვილს. ვანო მერაბიშვილი არ ეთანხმება სააკაშვილის ამ გეგმას და მას მეტად რისკიანს უწოდებს. გაღიზიანებული სააკაშვილი მერაბიშვილს კაბინეტიდან ითხოვს. სააკაშვილი რომ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას გეგმავდა, ამის შესახებ ადრე „კვირის ქრონიკაც" წერდა. მაშინ „ქრონიკა" სააკაშვილისა და მერაბიშვილის თათბირის შესახებაც მოუთხრობდა მკითხველს და იმასაც აღნიშნავდა, რომ მერაბიშვილმა ვერ გარისკა ივანიშვილის ლიკვიდაციაში მონაწილეობა და მერე, ეს საქმე, სააკაშვილმა დათა ახალაიას დაავალა. თუმცა, მერე ამერიკისა და ევროკავშირის ქვეყნების ხელისუფლების მაღალმა წარმომადგენლებმა, სააკაშვილს ამ გიჟური გეგმის განხორციელებაზე ხელი ააღებინეს. ისე, ამ ჩანაწერებში დათა ახალაია არაერთხელ ფიგურირებს. ეს ის დათა ახალაიაა, რომელზეც მიშამ ერთხელ განაცხადა, სულ ორჯერ მყავს ნანახიო. ეს ჩანაწერი 2011 წლის 11 ოქტომბერს არის გაკეთებული, ზუსტად იმ დღეს, როცა ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის რეჟიმს ბრძოლა გამოუცხადა და განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებდა მის მოსაშორებლად.

ერთი ჩანაწერი 2013 წლის აპრილშია გაკეთებული. სააკაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში ხვდება გიგი უგულავას. ამ ორკაციან თათბირზე განიხილავენ ოფშორული საბანკო ანგარიშებიდან საქართველოში ფულის გადმორიცხვის სქემებსა და სხვა საშუალებებს. გიგი უგულავას სააკაშვილი ეუბნება გვარებს კონკრეტული ბიზნესმენებისა, რომლებიც პირადად მისგან ძალიან არიან დავალებულები და რომელთაც ევროპაში ბიზნესი აქვთ. უგულავას ავალებს, ნახოს ეს ბიზნესმენები და მოაგვაროს საქმე, შემდეგ კი ეს თანხები, იმავე ბიზნესმენების საქართველოში ახლად დარეგისტრირებული ფირმების ანგარიშებზე ჩაირიცხოს. შემდეგ, ეს ფული „ნაცმოძრაობის" ლიდერთა ხელში მოხვდება, ნაღდი ფულით თუ გადარიცხვით, წყაროს თქმით, ამაზე ჩანაწერში საუბარი აღარ არის. საზოგადოება, ალბათ, მალე შეიტყობს იმ ქართველი ბიზნესმენების ვინაობას, რომლებიც „ნაცმოძრაობის" „შავი ფულის" გათეთრებით იყვნენ დაკავებულნი და აუდიოჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ასცდებათ. თუ წყაროს დავუჯერებთ, მათით ევროპის რამდენიმე ქვეყნის სამართალდამცავებიც დაინტერესდებიან. რატომ აქამდე ვერ მიხვდნენ ევროპის ქვეყნების სამართალდამცავები, რომ კონკრეტული ქართველი ბიზნესმენები „შავ ფულს" მათ ქვეყანაში ათეთრებდნენ? ამ კითხვაზე წყარო აცხადებს, რომ ფულის გათეთრების სქემების გახსნა საკმაოდ რთულია, მით უმეტეს მაშინ, როცა კონკრეტული კომპანია უკვე წლებია მუშაობს და მსგავს დანაშაულში კი არა, უმნიშვნელო გადაცდომაშიც კი არ ყოფილა ეჭვმიტანილი.

წყაროს ინფორმაციით, ეს აუდიოჩანაწერები ეტაპობრივად გამოქვეყნდება. საზოგადოება ამ ჩანაწერებიდან, ასევე, შეიტყობს „მუხროვანის ამბოხში" უშუალოდ სააკაშვილისა და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალეულობას, როგორ ცდილობდა სააკაშვილი ბადრი პატარკაციშვილის განეიტრალებას და პატარკაციშვილის გუნდიდან, ვინ თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან, რომელი ცალკეული ოპოზიციონერები და ოპოზიციური პარტიის ლიდერები ჰყავდა გადაბირებული სააკაშვილს და ვის რამდენს უხდიდა. ამ უკანასკნელის შესახებ, წყაროს ინფორმაციით, საუბარია ჩანაწერზე სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს შორის. რამდენიმე ჩანაწერი ყოფილა იმის შესახებ, როგორ იგეგმება ბიძინა ივანიშვილის გაკოტრების სქემა, მისი პოლიტიკური გარემოცვის დევნა და სხვა, ათასი უბედურება. ცნობილი გახდება, ასევე, „ქართულ ოცნებაში" ჩანერგილი რამდენიმე აგენტის ვინაობა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილისა და ამ პარტიის საიდუმლო გეგმებს აწვდიდნენ ხელისუფლებას. ზოგიერთ მათგანს დღეს ამ კოალიციაში სოლიდური პოზიცია უკავია.

წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, „ალია" უსაფრთხოების ექსპერტს, ვახტანგ მაისაიას ესაუბრა:

„ამერიკელები მიხეილ სააკაშვილს რომ აკონტროლებდნენ, ეს არავისთვის ახალი არ არის. მე ვიცი, რომ მას არ ენდობოდნენ ამერიკის ხელისუფლების გარკვეული წრეები და სრულიად რეალურად და დასაშვებად მიმაჩნია ის ამბავი, რომ მის გარემოცვაში აგენტიც ჰყავდათ ჩანერგილი. მეთიუ ბრაიზა და სხვებიც, თვლიდნენ, რომ სააკაშვილი იყო არაპროგნოზირებადი ადამიანი და ბუნებრივია, ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტშიც გაგზავნიდნენ ინფორმაციებს. რეალური და შესაძლებელია, რომ მის კაბინეტებში იყო დამონტაჟებული მოსასმენი საშუალებები და ამ გზით, ამერიკის ხელისუფლება უტყუარ ინფორმაციას იღებდა სააკაშვილისა და მისი გარემოცვის შესახებ, მათ გეგმებზე. სააკაშვილს ჰყავდა ამერიკელი მრჩეველი, დენიელ კუნინი, მისგან და სხვა წყაროებისგან თეთრი სახლის ადმინისტრაცია სააკაშვილისა და ზოგადად, საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, საჭირო ინფორმაციას მიიღებდა, ეს ცხადია, მაგრამ ფარული გზით მოპოვებულ ინფორმაციას, თანაც უშუალოდ პრეზიდენტის კაბინეტიდან, სულ სხვა ფასი აქვს, ეს თუ ვინმემ იცის კარგად, უპირველესად, ამერიკელებმა. ეს უკვე უტყუარი, ეჭვმიუტანელი ინფორმაციაა, რომელსაც გადამოწმებაც არ სჭირდება. თუ ვინმე იკითხავს, რომ პრეზიდენტის ჩაწერა შეუძლებელია, რადგან მას დაცვის განსაკუთრებული ღონისძიებებით იცავენ, მათ შევახსენებ უკრაინის ექსპრეზიდენტს, ლეონიდ კუჩმას. კუჩმა პრეზიდენტი იყო, როცა მისივე დაცვის უფროსის მოადგილემ, ნიკოლაი მელნიჩენკომ ჩაწერა. ამ ჩანაწერში კუჩმა უბრძანებს შს მინისტრს, იური კრავჩენკოს, რომ მოკლან ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე. ეს აუდიოჩანაწერი იქცა კუჩმას წინააღმდეგ მთავარ სამხილად. დაუკვირდით, კუჩმა საკუთარი დაცვის უფროსის მოადგილემ ჩაწერა და რა გარანტია არსებობს, რომ ამ საქმეში სააკაშვილის პირადი დაცვის რომელიმე წევრის ხელი არ ერიოს? მათ ნებისმიერი მოსასმენის დაყენება შეეძლოთ პრეზიდენტის კაბინეტშიც კი. სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკა იმდენად მრავალფეროვანი და არაპროგნოზირებადია, რომ არაფერი მიკვირს, არც ის, თუ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილი ჩანაწერები გასაჯაროვდება და ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილი საბოლოოდ ჩამოწერეს ამერიკელებმა და კუჩმა მონაგონი იქნება, მას ისეთი დღე დაადგება".

თუ ეს აუდიოჩანაწერები მართლა გამოქვეყნდა, ცხადია, მაშინვე დაიწყება საუბარი, რომ გაყალბებულია, ხმებია დადებული და ა.შ. „ნაციონალები" აქტიურად იმუშავებენ, რომ ჩანაწერები ფაბრიკაციად გაასაღონ და საამისოდ, ყველა რესურსს გამოიყენებენ. თუმცა, რეალობის დამტკიცება ძალიან იოლია – საექსპერტო სამსახური ადვილად დაადგენს ჩანაწერების ავთენტურობას და ამას არც დიდი დრო დასჭირდება.

**ლევან ჯავახიშვილი**
577 51 73 37



**„ერთი ჩანაწერი ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმას ეძღვნება. მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილს ეთათბირება, როგორ უნდა მოკლან ივანიშვილი. სააკაშვილის გეგმის მიხედვით, სამთავრობო დაცვამ უნდა გაანეიტრალოს ივანიშვილის დაცვა მისავე შუშის სახლში, სამთავრობო დაცვაში შერეული კუდ-ის აგენტები მოახდენენ პროვოკაციას, გაისვრიან იარაღიდან, რასაც ივანიშვილის დაცვის მხრიდან მოჰყვება სროლა და ამ ორმხრივ სროლაში, მოკლავენ ივანიშვილს"**



**„მეთიუ ბრაიზა და სხვებიც, თვლიდნენ, რომ სააკაშვილი იყო არაპროგნოზირებადი ადამიანი და ბუნებრივია, ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტშიც გაგზავნიდნენ ინფორმაციებს. რეალური და შესაძლებელია, რომ მის კაბინეტებში იყო დამონტაჟებული მოსასმენი საშუალებები და ამ გზით, ამერიკის ხელისუფლება უტყუარ ინფორმაციას იღებდა სააკაშვილისა და მისი გარემოცვის შესახებ, მათ გეგმებზე"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გურჯაანში ქმარმა მეუღლე სცემა




გურჯაანში მცხოვრები 30 წლის ქალბატონი ოჯახური კონფლიქტის მსხვერპლი გახდა. იგი მეუღლის მიერ ცემის შედეგად მიყენებული ჭრილობებითა და სისხლჩაქცევებით სასწრაფო დახმარებამ რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმების თქმით, მას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. ქალბატონს ამჯერად სახლში მკურნალობენ. მისი ახლობლები მომხდარის შესახებ არ საუბრობენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე ოჯახური ძალადობის მუხლით აღიძრა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...



## ალექსანდრე ჭანტურიამ გიორხელიძის გატაცება აღიარა

ალექსანდრე ჭანტურიას ადვოკატის, ვლადიმერ კიკნაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა იოსებ გიორხელიძის გატაცების ფაქტი აღიარა.

ჭანტურიას ადვოკატი ჭანტურიასთვის აღკვეთის ღონისძიებად განთავისუფლების სანაცვლოდ 10-ათასლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ უარი განაცხადა და გიორხელიძის საქმეზე ყველა დაკავებულს პატიმრობა შეუფარდა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# საქართველოში ახალი ნარკოტიკები „სირეცი“ და „ბანზაი“ ველოსიპედებით და ტელევიზორებით შემოაქვთ

## რატომ ვერ იღებენ სუნს დაგეშილი ძაღლები?



**„ალიას“ ესაუბრება ანტიკორუფციული კავშირის ხელმძღვანელი, გიორგი ბურჯანაძე:**

– ეს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უცნობია და ექსკლუზიურად თქვენ გაძლევთ: მოკლედ, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ უკვე ერთი თვეა თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოედინება უცხო წარმოშობის ნარკოტიკი, რომელიც სიკვდილს იწვევს. იმ ფონზე, როცა საქართველომ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ნარკომაფიას, საქართველოში შემოდის ახალი სახეობის ნარკოტიკები „სირეცი“ და „ბანზაი“, რომლებიც ფხვნილის სახითაა გავრცელებული. როგორც ჩვენმა წყარომ გვითხრა, თურქეთში ამ ნარკოტიკების თითო პაკეტის ფასი ყოფილა 10 ლირა, საქართველოში კი ღირს პაკეტი 50 დოლარი.

**— და რა არის, სინთეტიკური წარმოშობის ნარკოტიკია, თუ მცენარეული?**

– რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ეს „ბანზაი“ ბალახეულია, მუქი ნივთიერებაა და მარიხუანას წააგავსო, ამბობენ, თუმცა ზუსტად არ ვიცი. „სირეცი“ არის ნაცრისფერი ფხვნილი, რომელიც თეთრში გადადის. ჩვენი მონიტორების ინფორმაციით, ნარკოტიკი საქართველოში გადმოედინება გადამზიდავი კომპანიების საშუალებით და ეს კომპანიებიც ცნობილია ჩვენთვის, მაგრამ მოდით, ამ ჯერზე მაპატიეთ, ამ სახელებს მე მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტყვი. ანუ ნარკოტიკი ქვეყანაში შემოდის ავტობუსების დახმარებით, ნარკოტიკები ბაშებად, თუ რა დავარქვა, იმალება პლაზმურ ტელევიზორში, კომპიუტერში, ე.წ. ნოუთბუქებში, მანქანის მაგნიტოფონებში და საბავშვო ველოსიპედებში, საჭის მრგვალ კოლოფში, „სიდენიასა“ და უკანა საბურავის რკინაში, რაზეც ველოსიპედის კბილანები და ჯაჭვია დამაგრებული, აი, მაგ ადგილას ეგ ჯაჭვი იხსნება, სამალავი კეთდება. შსს-ს თანამშრომლებს იმ კოორდინატებსაც ვეტყვით, რომელი ქალაქიდან მოდის წამალი და ყველა იმ ინფორმაციას გადავცემთ, რაც ჩვენთვისაა ცნობილი, ყველანაირად ვართ მზად თანამშრომლობაზე. ეს ნარკოტიკი მიედინება ქუთაისში, იქიდან კი ზესტაფონი და სამტრედია მარაგდება. კარგია, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ იმუშავა და აიკრძალა სააფთიაქო ნარკომანია, მაგრამ აგერ, სხვა გზა გაიხსნა. ამ სისტემას მეტი ყურადღება სჭირდება, მეტი რეაგირების ფორმა უნდა ჩამოყალიბდეს, რადგანაც ეს ბიზნესი ვერცხლისწყალივითაა, თავის ახალ გზას სულ პოულობს. ქუთაისში ამ „ტავარს“ ხვდება ნარკორეალიზატორი და ამის შემდეგ ხდება ამის გადანაწილება ზესტაფონისა და სამტრედიის მხარეებზე. დაახლოებით 65-70% ქუთაისში რჩება და დანარჩენი უკვე დასახელებულ ქალაქებში გადადის. ასევე, ჩვენი ინფორმაციით, ერთი თვის მანძილზე ქუთაისში, ვითომდა დაბადების დღის აღნიშვნისთვის ერთ ოჯახში, ერთი თვის მანძილზე ერთი პიროვნებისთვის 7 დაბადების დღე როგორია? ხოდა, გადმოგზავნილია 7 საბავშვო ველოსიპედი გაძეძგილი ნარკოტიკით.

**— კი, მაგრამ რანაირად შემოდის, საზღვარზე ტრანსპორტს ხომ ამოწმებენ ნარკოტიკებზე?**

– როგორ არ ამოწმებენ, მაგრამ როგორც ჩანს, ორივე უსუნო ნივთიერებაა და ძაღლებიც ვერ იღებენ გეშს.

**— არის თქვენთვის ცნობილი, რას იწვევს ეს ნარკოტიკი?**

– თურქეთში მყოფმა ჩვენმა მონიტორებმა გვითხრეს, ბაზარში კაცი ლაპარაკის დროს უცებ წაიქცა და მოკვდაო და იქ თქვეს, რომ ეს, სავარაუდოდ, ამ „ბანზაის“ ბრალიაო. ეს „სირეცი“ რა სახის თრობას იწვევს, არ ვიცი, მაგრამ რასაც მეუბნებიან, თავად თურქები აცხადებენ, რომ საშინელი ნარკოტიკიაო. როცა ჩვენმა ორგანიზაციამ თქვენი გაზეთის დახმარებით ბიონარკოტიკებზე ავტეხეთ განგაში, ეს „ბიო“, ფაქტობრივად, მოშორდა ბაზრიდან და ამისთვის დიდი მადლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

**— რა ინფორმაცია გაქვთ, „სირეცი“ და „ბანზაი“ თბილისში თუ გამოჩნდა?**

– მე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. მაგრამ ჩემი პირადი მოსაზრებით, თბილისშიც მალე გაჩნდება.

**ამ ინტერვიუს შემდეგ ვუკავშირდებით ცნობილ ნარკოლოგს, პროფესორ გელა ლეჟავას.**

**— ბატონო გელა, როგორც გვითხრეს, ახალი სახის ნარკოტიკი შემოვიდა საქართველოში, სახელწოდებით „სირეცი“ და „ბანზაი“ და თქვენ თუ იცით ამის შესახებ?**

– საინტერესო ამბავს გეტყვით: გავიგე, რომ რუსეთში აღმოაჩინეს ახალი სახის ნარკოტიკი, რომელიც იწვევს სიკვდილს და ვერ გეტყვით, ის ნარკოტიკები ემთხვევა თუ არა თქვენს მიერ ნახსენებ ამ ორ დასახელებას, მაგრამ რაღაც მსგავსი რუსეთშიცაა და, ვიმეორებ, მას დიდი სიკვდილიანობა მოსდევს.




**— ჩვენ თურქეთიდან შემოტანილზე ვსაუბრობთ, ბატონო გელა.**

– კი, მაგრამ მაგ თურქეთშიც საიდანღაც შედის, ხომ? ნამდვილად ახალია რაღაც შექმნილი და ყველა ახალი ნარკოტიკი სინთეტიკური წარმოშობისაა და ძალიან ჰგავს მარიხუანაში შემავალ ნივთიერებას. ანუ შექმნილია სინთეზური ახალი სახეობა და სინამდვილეში კონკრეტულად ფორმულის რა ნაწილია შეცვლილი, სანამ მისი ქიმიური შესწავლა არ მოხდება, არავის შეუძლია თქმა. ასევე, ეს ახალი ნივთიერება რუსეთშია თუ არა შექმნილი, არც ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ძალიან მეშინია, რომ, რაც რუსეთშია დღეს გავრცელებული, ჩვენთანაც არ იყოს მოღწეული ეს ახალი ნარკოტიკი. რუსეთში კვირაში 50-60 კაცი კვდება და ეს რუსეთისთვისაც დიდი ციფრია. ამიტომ, ძალიან კარგია, ამას რომ წერთ, რადგანაც სწორედ გუშინწინ ვნახე ეს მასალა და გაფრთხილდნენ, წესით, მომხმარებლები არაფერს არ უნდა მიეკარონ, მაგრამ ამ ახალს განსაკუთრებით სიფრთხილით მოეკიდონ. რაც შეეხება ნარკოტიკის შესწავლას, ზოგჯერ ამას თვეები სჭირდება, რადგანაც ეს საქმე იოლი ნამდვილად არ არის.

**ვუკავშირდებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ნინო გიორგობიანს:**

– ჩვენ აუცილებლად მივაქცევთ ყურადღებას ყველა ინფორმაციას, რაც ამ საკითხს ეხება და უნდა გითხრათ, რომ შს მინისტრის უშუალო ინიციატივით იქნა მიღებული მთელი რიგი კანონები, რომლის შედეგადაც ჩვენთან „კრაკადილისა“ და „ბიოს“ მოხმარება შემცირებულია 90%-ით. ინფორმაციისთვის, ჩვენთან ყოველკვირეულად იმართება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშემწყობი კომისიის სხდომები, სადაც მიმდინარეობს კანონის შესრულების ანალიზი, რაც შეეხება ამ ახალ ნარკოტიკს, მისი შემოტანის ხვრელებსაც მივაგნებთ და შესაბამის ზომებს მივმართავთ. ამ მიზნით სიამოვნებით ვითანამშრომლებთ ბატონ გიორგი ბურჯანაძესთან, მოგვმართოს, მოგვაწოდოს ინფორმაცია, რადგანაც ნარკომანიასთან ბრძოლა ჩვენი პრიორიტეტია.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### მსჯავრდადებულს უკანა ტანში სამი მობილური ტელეფონი აღმოუჩინეს



მსჯავრდადებულ ვ.ბ.-ს №19 ტუბერკულოზის სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრში მიღებისას, საკონტროლო-გამშვებ პუნქტში ჩატარებული შემოწმება-დათვალიერებისა და შემდეგ, რენტგენოლოგიური კვლევისას, უკანა ტანში პრეზერვატივებში შეფუთული სამი მობილური ტელეფონი აღმოუჩინეს.

საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3781-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 3782-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეს იძიებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი.

დანიშნულია სასამართლო კომპლექსური (ქიმიური, ტრასოლოგიური, ვიდეოსკოპიური, ჰაბიდოსკოპიური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური) ექსპერტიზა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### პეკინის ქუჩაზე ქალბატონს კისრიდან ოქროს სამკაული ჩამოგლიჯეს



პეკინის ქუჩაზე, „ფუდმარტის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ქალბატონს კისრიდან ოქროს სამკაული ჩამოგლიჯეს. შემთხვევა დაახლოებით 15 საათზე მოხდა.

ფაქტი შსს-ს პრესსამსახურმა დაადასტურა. მათი ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 178-ე მუხლით აღიძრა. (ნიუპოსტი)

### ვაგზალზე კიდევ ერთი მელია იპოვეს



მეტროსადგურ „ვაგზლის მოედანთან“ ნაპოვნი მელია საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა ცხოველთა თავშესაფარში გადაიყვანა.

„სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, „ვაგზლის მოედნის“ მელია ცხოველთა თავშესაფარში გადაიყვანეს, დეპარტამენტის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ადგილზე და მოხდა ცხოველის იდენტიფიცირება. აღმოჩნდა, რომ მელია დაახლოებით 24 თვის იყო, ჯანმრთელ და უვნებელ მდგომარეობაში. ვეტერინართა კონსულტაციის შემდეგ მელია თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გაუშვეს“, – განაცხადეს გარემოს დაცვითი დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურში. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



# მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში ბრუნდება

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას ოპონენტების პოლიტიკურ დევნაში, ეკონომიკის რეგრესში და კრიმინალური ვითარების გაუარესებაში სდებს ბრალს. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ საგანგებო მიმართვაშია აღნიშნული:

„ძვირფასო თანამებრძოლებო და მეგობრებო!

ყველანი მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ მიცოცავს ჩვენი ქვეყანა უკან, წარსულისაკენ – იმ პერიოდისკენ, რომელიც მწარედ გვახსოვს ქაოსით, ნგრევითა და განუკითხაობით. ოპოზიციის ლიდერები დაპატიმრებული არიან, ეკონომიკა ყავარჯნებზე დგას, დიდი სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტები გაჩერებულია, ბიუჯეტი ისევ ირღვევა, თავს მშვენივრად გრძნობენ კრიმინალები და კანონიერი ქურდები, რომლებმაც უკვე აღიდგინეს კონტროლი ციხეებზე და დანაშაულებრივ სამყაროზე. წახალისებულია ყველა ჯურის ექსტრემისტი და მოძალადე, რომელიც მზად არის ფიზიკურად გაუსწორდეს განსხვავებული აზრის მატარებელსა თუ უმცირესობის წარმომადგენელს. რაც ყველაზე საგანგაშოა, დღითიდღე ძლიერდება რუსეთის პოზიციები საქართველოსთან მიმართებაში — როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით — მთელს სახელმწიფო სხეულში.

თავი და თავი პრობლემისა არის ის, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია მომავლის ხედვა – არ არსებობს ერთიანი, მწყობრი იდეა იმისა, თუ სად და როგორ უნდა გათენდეს ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე. ჩემს მიერ ნაკეთები ყველა საქმის შეჩერების, პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და რეპრესიების მიღმა, არ არსებობს არანაირი მამოძრავებელი იდეა თუ ხედვა იმისა, თუ რისკენ უნდა ისწრაფვოდეს სახელმწიფო. შეგნებულად ეთქვა უარი იმას, რომ გაგვაჩნდეს ეროვნული ამბიცია, რომელიც გაგვაერთიანებდა, როგორც საზოგადოებას და ჩვენს დიდ ეროვნულ ენერგიას მიმართავდა ქვეყნის შენებისა და თავისუფლებისაკენ. ხელისუფლების გაცხადებული კურსი მიმართულია საქართველოს იდეის დაკნინებისკენ, ისინი ღიად უწოდებენ საქართველოს პატარა სოფელს, უმნიშვნელო ქვეყანას, რომელსაც არ უნდა გააჩნდეს რეგიონული ინტერესები და საერთაშორისო აქტუალურობა. საქართველოს არ ექნება მომავალი, იგი ვერასოდეს იქნება დაცული, თუ ჩვენი ქვეყნის განვითარება არ დაეფუძნა ჩვენს ეროვნულ ღირსებას, სიამაყესა და ამბიციას, რომ გვიწევდნენ ანგარიშს, გვცემდნენ პატივს და ვიყოთ აქტუალური საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩვენი პასუხი ამ სამწუხარო რეალობაზე არ უნდა იყოს დეპრესია, ხელების ჩამოშვება ან თუნდაც გაბრაზება. პირიქით, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა უნდა ვაქციოთ ჩვენს მოტივატორად იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ერთად ჩამოვაყალიბოთ ახალი ხედვა ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის და შევათანხმოთ ახალი საქართველოს პროექტი – ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ყველაზე ეფექტური მოდელი – ყველა წარმატებისა თუ წარუმატებლობის გათვალისწინებით, ზუსტად ისეთი, რომელიც ერთ მუშტად შეგვკრავს და ოპტიმიზმის განცდას დაუბრუნებს საზოგადოებას. საქართველო გაცილებით მეტს იმსახურებს, ვიდრე გაუგებარი ღირებულებების მქონე ადამიანების ხელში სტაგნაციაა, გაცილებით მეტს, ვიდრე გაუგებარი მოტივაციის მქონე ფიგურების მიერ წესიერი, კანონმორჩილი მოქალაქეებისთვის მომავლის იმედის წართმევაა, გაცილებით მეტს, ვიდრე რასაც დღეს ვუყურებთ. ამიტომ, ჩვენ არ გვაქვს ხელების ჩამოშვების უფლება, არ გვაქვს დასაკარგი დრო.

მე ახლა მოგმართავთ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, როგორც ერთ-ერთი თქვენთაგანი. რომელ პოლიტიკურ ძალასაც არ უნდა ვეკუთვნოდეთ, რა შეხედულებისაც არ უნდა ვიყოთ განვლილ 10 წელიწადზე, ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა ახლა მომავალზე ფიქრია. ფიქრი იმაზე, თუ რა არის კარგი ჩვენი ქვეყნისთვის და რას უნდა ვაკეთებდეთ, რომ ჩვენი მომავალი თაობები გაიზარდნონ ჯანსაღ, მშვიდობიან და ევროპულ საქართველოში. რა არის საჭირო იმისათვის, რომ აღარასოდეს განმეორდეს წარსულისა და აწმყოს შეცდომები.

ჩვენი სახელმწიფოებრიობა უკვე აღარ არის პატარა, ჩვენი საზოგადოება უკვე საკმაოდ გამოცდილია. საქართველომ არაერთი მძიმე დღე გამოიარა.

ჩვენ გამოვიარეთ გუშინწინდელი დღე — დღე ნგრევისა და ვარდნის. ჩვენ გამოვიარეთ გუშინდელი დღეც — დღე წინსვლისა და დიდი, თუმცა ხშირად მტკივნეული გარდატეხების. ჩვენ ვცხოვრობთ დღევანდელ დღეს, რომელიც აშკარად იქცა ლპობისა და სტაგნაციის დღედ.

ახლა ჩვენ ერთად, ყველა პოლიტიკური ძალა, და მთლიანად საზოგადოება უნდა დავფიქრდეთ ყველაზე მნიშვნელოვანზე — როგორი გვინდა იყოს საქართველოს ახალი დღე, დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა გვასწავლა წარსულმა გამოცდილებამ, როგორ აღარ დავუშვათ ძველი შეცდომების განმეორება და როგორ გავაათმაგოთ ის, რაც უდაოდ კარგი იყო. ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი კრიტიკულადაა განწყობილი ჩემი პრეზიდენტობის დროს განხორციელებული რეფორმების და მათი ფორმების მიმართ. მე ძალიან ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რა გავაკეთეთ არასწორად. ბევრი ვიფიქრე გამოუყენებელ შესაძლებლობებზეც, კომპრომისებზე, რომელთა ზოგჯერ დაშვება იყო შეცდომა და ზოგჯერ არდაშვება. ვიფიქრე პრობლემებზე, რომელთა არსებობას თავის დროზე ვერ ვამჩნევდით, ან მათი მნიშვნელობა თვალში შეცდომით გვეპატარავებოდა. ვიფიქრე ასევე იმ უამრავ მიზანზე, რომელიც ჯერ კიდევ მისაღწევი დაგვრჩა.

ამ გამოცდილებამ, მეც და დარწმუნებული ვარ, თითოეულ თქვენგანსაც, ბევრ რამეზე ახალი თვალით შეგვახედა. მათ შორის ერთ-ერთი, რაც განსაკუთრებული სიცხადით დავინახე არის ის, რომ ჩვენ ვერ შევძელით მთელი საზოგადოების ჩაბმა რეფორმების პროცესში. არასწორად და, ალბათ ქედმაღლურად გვეგონა, რომ ყველაფერს თავად შევძლებდით, რასაც ვაცნობიერებ და გულწრფელად ვნანობ. ამიტომ, ჩვენი მომავალი ძალისხმევა აღარასოდეს უნდა იყოს მხოლოდ ერთი პარტიის ძალისხმევა. ეს უნდა იყოს მთელი საზოგადოების ჩართულობა ახალი საქართველოს შენებაში, დაფუძნებული პოლიტიკურ პლურალიზმისა და სამოქალაქო პოზიციათა მრავალფეროვნებაზე.



ამ ახალი საქართველოს იდეას დღეს წინ აღუდგა ჭორვილელი ოლიგარქი, რომელსაც საქართველოს მომავლის სულ სხვა ხედვა ამოძრავებს. მისი პროგრამა, რუსული ოლიგარქიული მმართველობის მოდელის საქართველოში დანერგვაზეა აგებული და სიცრუითა და პროვოკაციებით, ძალადობითა და პოლიტიკური რეპრესიებით, მოლაპარაკე თავების მოსყიდვითა და თავისუფალი აზრისადმი აგრესიით ოპონენტების განადგურებას და ჩვენ ქვეყანაში პროვინციული დიქტატურის დამყარებას გულისხმობს. რა თქმაუნდა ეს მცდელობა ვერ გაიმარჯვებს, თუმცა გამოიწვევს ძალიან დიდ რყევებს საქართველოში. ივანიშვილისა და მისი „ოცნების" კოლაფსი გარდაუვალია, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ოლიგარქის პროვინციული დიქტატურის ყოველი მორიგი დღე უფრო და უფრო მტკივნეული იქნება საქართველოსთვის.

ხელისუფლების რღვევისა და ყველაზე და ყველაფერზე პირადი კონტროლის დაკარგვის საფრთხე, სულ უფრო აგონიურს გახდის ოლიგარქის მოქმედებებს, რაც დიდი რისკების წინაშე დააყენებს ქვეყანას და იმდენად დააზარალებს, რომ მის აღსადგენად ძალიან დიდი, ერთიანი ძალისხმევა დაგვჭირდება.

მჯერა, რომ ეს ძალისხმევა – „ოცნების“ სახადისაგან განკურნება და ქვეყნის ხელახალი აღდგენა – აღარ და ვეღარ იქნება „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის უბრალო „რიმეიკი“. გაცილებით მეტი იქნება საჭირო. საჭირო იქნება ახალი ამბიცია, ახალი ენერგია, ახალი პროექტი, რომელსაც განახორციელებს არა ერთი პარტია, არამედ მთელი საზოგადოება, მათ შორის საზოგადოების ყველაზე კრიტიკულად განწყობილი ნაწილი. ამიტომ, ჩვენ საზოგადოებას ბევრი დასაკარგი დრო არა ქვს. ამიტომ მოდით, ახლავე დავიწყოთ აზრთა გაცვლის ღია, გამჭვირვალე პროცესი, სადაც წარმოდგენილი იქნება ყველა იდეა, რომელთა საფუძველზეც შევქმნით ერთიან ეროვნულ პლატფორმას წინსვლის გასაგრძელებლად. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, მომაწოდოთ თქვენი იდეები და რჩევები. მომწერეთ ჩემი „ფეისბუქის“ გვერდზე. ჩემ გუნდთან ერთად, მე ყველაფერს გავეცნობი და თქვენი წინადადებების ანალიზის შედეგად, განსახილველად შემოგთავაზებთ ხედვას ჩვენი ქვეყნის ახალი, ასე ნანატრი დღისთვის. რაც მთავარია, ეს არ იქნება ერთი კონკრეტული პოლიტიკური ძალის პლატფორმა.

ეს იქნება სოციალური პროცესი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავშალოთ საერთო ეროვნული დებატები იმაზე, თუ რა გვინდა ჩვენი ქვეყნისთვის, რა სჭირდება მის უკეთეს ხვალინდელ დღეს — პოზიტიური და ოპტიმისტური დებატები, ფოკუსირებული არა წარსულზე, არამედ მომავალზე.

როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე, დავიწყებ ჩემი ხედვით. გაგაცნობთ ჩემს შეხედულებას იმ რამდენიმე დედაბოძზე, რომელზეც ჩემის აზრით, უნდა აშენდეს ახალი საქართველო. იმედი მაქვს, ჩემს მოსაზრებებს დაემატება თქვენი რჩევები და ჩვენ ერთად შევქმნით საქართველოს ახალი დღის მანიფესტს — თანამედროვე საქართველოს იდეას:

### პირველი — განათლება

მე მართლაც ღრმად მწამს, რომ საქართველოს ახალი დღისთვის განათლება უნდა იქცეს ჩვენ ნომერ პირველ პრიორიტეტად. 1991 წლიდან მოყოლებული, განათლების მნიშვნელობა ვერ გააცნობიერა ვერც ერთმა მთავრობამ, მათ შორის ვერც ჩემმა.

ჩვენ ყოველთვის ფოკუსირებულნი ვიყავით მოკლე და საშუალოვადიან გამოწვევებზე, მაგრამ თუ არ ვიზრუნებთ განათლების გრძელვადიან ეფექტზე, ჩვენი ქვეყნის განვითარება ყოველთვის შეფერხდება, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად.

ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი, თანამედროვე, გახსნილი განათლების სისტემა, რომელიც ყველა ბავშვს შეუქმნის უმაღლესი სტანდარტის განათლების მიღებისთვის საჭირო გარემოს, ყველა მოზარდს გაუხსნის ზოგადსაკაცობრიო მონაპოვართა შეცნობის და სამყაროს აღქმის შესაძლებლობებს, ხოლო ახალგაზრდას აღჭურვავს საჭირო ინსტრუმენტებით, რათა იგი იყოს კონკურენტუნარიანი თანამედროვე სამყაროში.

ქართველი მსოფლიოს უნდა ხედავდეს არა როგორც საფრთხეთა ზღვას, არამედ როგორც შესაძლებლობათა ოკეანეს. მე გთავაზობთ ჩამოვაყალიბოთ გრძელვადიანი ხედვა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს წარმატებული საქართველოს განათლების სისტემა და მოუთმენლად ველი თქვენს მოსაზრებებს — რა შევცვალოთ? რა სიახლე დავნერგოთ?

### მეორე — თავისუფალი და დაცული მოქალაქე

ახალი საქართველოს ქვაკუთხედი უნდა იყოს მოქალაქე, რომელიც სახელმწიფოს განიხილავს საკუთარ პარტნიორად, რომელიც თავს გრძნობს დაცულად სახელმწიფოს მიერ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან. ახალი საქართველო უნდა ეფუძნებოდეს ერთგვარ კონტრაქტს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის.

კონტრაქტს, რომელიც ეფუძნება ორმხრივ ვალდებულებებსა და ურთიერთპატივისცემას. ჩვენ ერთად უნდა მოვძებნოთ ის მოდელი, რომელიც მოგვცემს გარანტიას, რომ წარსულის შეცდომები აღარ განმეორდება, რომ მთავრობამ ვეღარ გამოიყენებს სასამართლოს ან რომელიმე სამართალდამცავ თუ საგადასახადო ორგანოს მოქალაქის წინააღმდეგ. ის პოლიტიკური დევნა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ახლა მიმდინარეობს ოპოზიციის წინააღმდეგ, ჩრდილს აყენებს საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებსა და სასამართლოს. თუმცა მე ვიქნები პირველი ვინც აღიარებს, რომ ჩვენ ვერ შევძელით უზრუნველგვეყო სასამართლო ხელისუფლების სრული დამოუკიდებლობა. ჩვენ შევძელით ხალხის დაცვა კრიმინალისა და კორუფციისგან, მაგრამ ვერ შევძელით მისი დაცვა გაძლიერებული სახელმწიფოსგან. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს აღარასოდეს განმეორდეს? რა კონკრეტული ცვლილებები უნდა განხორციელდეს საამისოდ? რა მექანიზმები უნდა დაინერგოს იმისთვის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები აღარასოდეს მოქმედებდნენ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის დღის წესრიგის შესაბამისად? ეს არის ის კითხვები რაზეც ახლა უნდა ვეძებდეთ პასუხებს. დარწმუნებული ვარ, ამ პასუხებს აუცილებლად მივაგნებთ ერთობლივი, გახსნილი ძიებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## თაკო გაჩეჩილაძემ პიკანტური ფოტოების გადაღების ისტორიას ფარდა ახადა



ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში თაკო გაჩეჩილაძის სექსუალური ფოტოები გავრცელდა, სადაც ერთი შეხედვით ჩანდა, რომ მომღერალი მკერდმოშიშვლებული იყო.

ფოტოებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. წერდნენ, რომ შიშველი პოზირება ახალი მოდა იყო და რომ მომღერალს მკერდი ჰქონდა გადიდებული. თუმცა ყველა ერთხმად თანხმდებოდა, რომ თაკო ფოტოებზე შეუდარებლად გამოიყურებოდა.



სოციალურ ქსელში ატეხილი აჟიოტაჟის გამო თაკომ „ფეისბუკის“ გაუქმებაც კი გადაწყვიტა, თუმცა მალევე გადაიფიქრა.

მოგვიანებით ფოტოების ავტორმა ლეკო ჭყონიამ აღნიშნა, რომ მომღერალი შიშველი არ პოზირებდა და ფოტოსესიის დროს ბიუსტჰალტერი ეცვა.

ამ დღეებში თაკომ ლეკო ჭყონიას გადაღებული კიდევ ერთი ფოტო გამოაქვეყნა. სურათი, სავარაუდოდ, იმ პერიოდშია გადაღებული, როდესაც უფრო მეტად პიკანტური ფოტოები გადაიღეს. ფოტოზე აშკარად ჩანს, რომ ის შიშველი არ პოზირებს.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## მაია ასათიანი: „ნინო ჩხეიძის გამო ხშირად მაკრიტიკებენ“



ჟურნალისტი იმ ადამიანებს ასახელებს, რომელთა სტუმრობისასაც მისი გადაცემის რეიტინგი პიკს აღწევს.

– რეიტინგი თემას მოაქვს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც რამდენჯერაც არ უნდა მოვიწვიო სტუდიაში, მაინც დიდი რეიტინგი ექნება იმ გადაცემას. მაგალითად: ინგა გრიგოლია, ლელა წურწუმია, დუტა სხირტლაძე, ანრი ჯოხაძე, ნინო ჩხეიძე, შორენა ბეგაშვილი და დათო როსტომაშვილი. კიდევ არიან, მაგრამ ამ წუთას ესენი მახსენდებიან. მათ ცხოვრებაში მუდმივად სიახლეა, ზოგი სკანდალურია, ზოგიც ძალიან სახალისოდ ყვება ამბებს და ამას ხალხი ყოველთვის დიდი სიამოვნებით უყურებს. ნინო ჩხეიძის გამო ხშირად მაკრიტიკებენ, ხშირად რომ მოდის ჩემს გადაცემაში, თუმცა კრიტიკის მიუხედავად, ყოველთვის რეიტინგის პიკი გვაქვს, როდესაც ჩვენს გადაცემაში ნინოს სიმღერის პრემიერაა, – განაცხადა ასათიანმა.



*primetimenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო



## იუნა შაფათავა: „მინდა ბიჭი მყავდეს, შვილი, რომ გავზარდო ისეთად, როგორიც არ შემხვდა, მთელი ცხოვრება“

აღნიშნულის შესახებ მსახიობი იუნა შაფათავა სოციალურ ქსელში წერს.

– ისე მინდა, ბიჭი მყავდეს, შვილი. რომ გავზარდო ისეთად, როგორიც არ შემხვდა მთელი ცხოვრება. ისეთი, ყველა ქალის იდეალი რომ იყოს და მის გვერდით ქალი იყოს ბედნიერი და უდარდელი... მე ჯერ არ შემხვდა ასეთი, მე ქალების ჯიშიდან ვარ, მაგრამ მინდა ბიჭი მყავდეს, ერთი ქალი მაინც გაბედნიერდეს ძალიან და მიხაროდეს, რომ ეს ჩემი შვილის – ნამდვილი მამაკაცის, გონიერის, ჭკვიანის, ერთგულისა და საიმედოს – დამსახურებაა... – წერს შაფათავა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ვინ არის ქეთა თოფურიას „კუმირი“ და რომელია მისი საყვარელი სერიალი?



ჟურნალ „ELLE“-ს რუსულ გამოცემას ქართველმა მომღერალმა ქეთა თოფურიამ, მოკლე, მაგრამ საინტერესო ბლიცინტერვიუ მისცა.

როგორც მომღერალი აცხადებს, მისი „კუმირი“ დედაა, აღმერთებს „მაკდონალდსს“, რადგან ეს მისი სისუსტეა, არ უყვარს შოპინგი, მისი საყვარელი სერიალი „ბლანკოს ქვრივია“, ხოლო ფილმი, რომელიც ბავშვობიდან დაამახსოვრდა, „დედინაცვალია“, რომელიც დღემდე უყვარს.

*droni.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ეკო ფანგანი გოჩა ჩერტკოევს მიმართავს





„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გოჩა ჩერტკოევმა წინა სეზონში მონაწილე ეკო ფანგანის ცეკვა გაიხსენა.

გოჩას მიერ ეკოს ცეკვის გამორჩევამ და პოზიტიურად გახსენებამ ეკოს გული აუჩუყა და სოციალური ქსელში გოჩას მიმართა:

– ძალიან გამიხარდა, დღეს ჩემი ცეკვა რომ გაიხსენე! ამდენ სეზონში რომ გამომარჩიე. 2 წელი გავიდა და ეს ცეკვები დღემდე ჩემი სიყვარულია! Thanks a lot, Love You, – წერს ფანგანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ცოტნე გამსახურდია: „თქვე ჩემისებო, ის მაინც არ გაგიგიათ, სიცრუე და ორპირობა რას შვრება?“



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია მორიგ პოსტს აქვეყნებს.

– წავშალე რამდენიმე ათეული ადამიანი. არ მიყვარს ასე მოქცევა, მხოლოდ მაშინ მივმართავ ამ ზომას, როცა ლაჩრებთან, ფანატიკოსებთან ან შეუგნებლებთან მაქვს საქმე; როცა შეურაცხყოფას აყენებენ ადამიანებს და იმის უკანალი არა აქვთ, საკუთარ სიტყვებსა და ქმედებებზე პასუხი აგონ. კიდევ, ორპირებთან მიმართებაში... თქვე ჩემისებო, ის მაინც არ გაგიგიათ, სიცრუე და ორპირობა რას შვრება? როგორ შეიძლება ადამიანის შეურაცხმყოფელ სტატუსს ალაიქებდე ვიღაც ვიგინდარას გვერდზე და თან მის მეგობრებში რჩებოდე?! ჰო, დამავიწყდა ქართული მორალი: რა იცი, რაში გამომადგესო... ასეულობით ღირსეული ადამიანი მელოდება, რომელთაც უკვე რამდენიმე თვეა, ვერ ვამატებ. თქვენ კი სადმე სხვაგან მონახეთ ადგილი, სადაც ეგეთებს მიესალმებიან. ეს კი არა, სულ რომ მარტო დავრჩე ამქვეყნად, მაინც არ მექნება მსგავს სუბიექტებთან ურთიერთობა (ასეც ყოფილა)...

P.S. ეს არამცდაარამც არ ნიშნავს, რომ დასაბუთებული კრიტიკის წინააღმდეგი ვარ. ვერ ვიტან სიცრუეს, ფანატიზმსა და შეუგნებლობას, და ლაჩრებს, როგორც აღვნიშნე. ესაა და ეს, – წერს გამსახურდია.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ხევი, რომელშიც მდინარე მიედინება
2. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
3. ათოსი, არამისი, ...
4. წარწერა ბოთლზე
5. რეჟისორი ბერნარდო ...
6. პოეტი ... შევჩენკო
7. კონტინენტი
8. პორტუგალიის დედაქალაქი
9. მდინარე აღმ. საქართ.
10. მდინარე სამხ. ამერიკაში
11. ქალაქი რაჭაში
12. ზამთრის თვე
14. სახსრების ანთება
15. მხ/ფ „კერკეტი ...“
16. ჭრილობა
17. „მატრიცა“ ნათელმხილველი
18. ოჯახი, ანუ ...
19. ფილმის ხელახლა გადაღება
20. მზის სისტემის პლანეტა
21. მსახიობების შერჩევა
22. ინდური კაბა
23. ზეთი, იყენებენ ნათლობისას
24. ნივთიერება თამბაქოში
25. მოწონების შეძახილი თეატრში
26. მდინარე ინდოეთში
27. მეცნიერება მღვიმეების შესახებ
28. ტკბილი კარტოფილი
29. ვირას საპირისპირო ბრძანება
30. ბანდეროლი
31. ებრაული სალოცავი ტაძარი
32. სიმინდის ყვავი-- ლედი
33. ნაყინი ჯოხზე
34. მისი დედაქალაქია ბერლინი
35. ყვავილი
36. ყაჩაღი
37. კარლო კოლოდის ხის ბიჭუნა
38. ეკვადორის დედაქალაქი
39. ჰომეროსის პოემა
40. „... ოკეანის საიდუმლოება“
41. მუსიკალ. ნაწარმოების ფორმა
42. ქალაქი გერმანიაში
43. ტარაკნის გარეგანი ჩონჩხი
44. უპირველესი საქმე
45. „ვეფხისტყაოსანი“ პერსონაჟი
46. ახლად გამოჩეკილი ქათამი
47. ხელოვნური ენა
48. მითიური მეომარი ქალი
49. კომპოზიტორი ვანო ...
50. ... ლლოიდ ვებერი
51. ლიტვური ფულის ერთეული
52. ბალანი ქუთუთოზე
53. პოლიტიკოსი ... ხიდაშელი
54. მსახიობი მეგ ...
55. ქალაქი რუსეთში
56. იაპონური ფულის ერთეული
57. მისი დედაქალაქია დელი
58. პატრუქიანი თოფი
59. ლიტერატურული კრებული
60. ... ხაიამი
61. მისი დედაქალაქია ოსლო
62. მეჩეთი ...-სოფია
63. მსახიობი ... ბლუმი
64. მკვეხარა
65. დიდი სარეკლამო დაფა
66. მეგობრული შარჟი
67. შოკოლადის ხის ნაყოფი
68. ქალაქი ინდოეთში
69. რეჟისორი ... პარკერი
70. ძაღლის ჯიში
71. ძლიერი ცეცხლი
72. ხელიანი სასმისი
73. ... ონაშვილი
74. მდინარე დას. საქართ.
75. რძის პროდუქტი
76. ბალეტ „დონ კიხოტის“ კომპოზ.
77. მისასალმებელი სიტყვა
78. მადონა ფილმში
79. მსახიობი ტომ ...
80. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
81. ქალაქი რუსეთში
82. თხის ნაშიერი
83. მსახიობი ... ჰეჩი
84. იჯარა
85. რუკების კრებული
86. ყურე
87. მსახიობი ... პელტროუ
88. ქალაქი შიდა ქართლში
89. მეცნიერება მინისძვრების შესახებ
90. ფეხბურთელი ანდრეს ...
91. მტაცებელი ფრინველი
92. გულსაბნევი
93. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
94. ყვავილი
95. მწერალი ... ბულიჩოვი
96. ანტილოპას სახეობა
97. საკერავი მანქანის ფირმა
98. მორებით შეკრული ტრანსპორტი
99. ჩანჩქერი აშშ-ში
100. ქალაქი ...-იორკი
101. ბანქოს ერთგვარი თამაში
102. მგალობელი ფრინველი
103. რეჟისორი გას ... დენტი
104. აღორძინების ეპოქა
105. ბულგაკოვი. „ძაღლის გული“ პერსონაჟი
106. პატარა არხი
107. მწერი სამზარეულოში
108. შიიზმის მიმდევარი
109. მსახიობი ... თურმანი
110. დიეგო არმანდო ...
111. გრაფი სეგედიური ...
112. ნახატი კედელზე
113. მომღერალი ... მინოუგი
114. უქოჩრო თუთიყუში
115. რეჟისორი ... ბრასი
116. უდაბნო პერუში
117. ლენონის ქვრივი
118. ზღვის დიდი კიბორჩხალა
119. მხ/ფ „... სახლში“
120. ...-ქრისტიან ანდერსენი
121. მისი დედაქალაქია რომი
122. ძველი მოდის გახსენება
123. მდინარე იტალიაში
124. ტროპიკული ნაყოფი
125. უფრთო ფრინველი
126. აბატი პრევო. „... ლესკო“
127. ყაიმი
128. ... მტრობას დაუნგრევია
129. მკურნალობა ორთქლის სუნთქვით
130. ... ჩიბურდანიძე
131. სასოფლო-სამეურნ. იარაღი
132. მსახიობი ბრედ ...
133. ნიშნავს საწინააღმდეგოს
134. კონტინენტი
135. ქალაქი იაპონიაში
136. ყვავილი
137. წყვილი ერთიანი ნარდში
138. ფრანგი წინასწარმეტყველი
139. საყოფაცხოვრებო ნარჩენი
140. ბესიკი. „... ტატანო“
141. მსახიობი კამერონ ...
142. ბალანი, ბეწვი
143. რეპტილია
144. მშვიდი განწყობა

პასუხები: 1. ქინაქინა; 2. კოლიზეუმი; 3. კორაიმა; 4. ბილიკი; 5. კარაბადინი; 6. ივა; 7. აფრა; 8. დეპი; 9. ნოდიკო; 10. ტორპედო; 11. ნეილონი; 12. მერილ; 13. არმან; 14. კაილი; 15. აკა; 16. კეიპტაუნი; 17. იუტლანდია; 18. პანტაგრუელი; 19. სუმატრა; 20. ემალი; 21. კალე; 22. ივ; 23. დიუმა; 24. მანიფესტი; 25. ტარივერდიევი; 26. დიდოსტატის; 27. ანტონიო; 28. აფროდიტე; 29. კრიალოსანი; 30. განდაგანა; 31. ინგილო; 32. განა; 33. ვაი; 34. ბია; 35. კორინთელი; 36. „აელიტა“; 37. იაპონია; 38. არადანი; 39. ონტარიო; 40. გრეტა; 41. ლანცეტი; 42. ვასკო; 43. კარტერი; 44. ანტანანარივუ; 45. დელტა; 46. ელტონ; 47. ელი; 48. ტულა; 49. კონერი; 50. კია; 51. აგრა; 52. სოსო; 53. სიეტლი; 54. პაიკი; 55. ქიმია; 56. მრიცხველი; 57. აივენჰო; 58. ბრიუსელი; 59. არნო; 60. მანათი; 61. კოტ; 62. ეკლერი; 63. სტოკჰოლმი; 64. ბრიზი; 68. მერსიე; 69. ელა; 70. შიიტი; 71. კესარია; 72. სანგარი; 73. ზეტა; 74. ახვლედიანი; 75. ქრისტეფორე; 76. ოუშენის; 77. ცხონდაო; 79. უმიაკი; 80. ფიცხელა; 81. იისფერი; 82. ჰავრი; 83. ვერ; 84. ნარა; 85. პიცა; 86. ესმერალდა; 87. სასა; 88. რომ; 89. „ფრიდა“; 90. დედამიწა; 91. „ოპელი“; 92. ილფი; 93. ლარინგოლოგი; 94. ნაივი; 93. ანანური; 96. ქსელი; 97. იყო; 98. „ამელი“; 99. სპა; 100. რემარკი; 101. იმერეთი; 102. პოლემიკა; 103. მარაკანა; 104. ჯინა; 105. ელია; 106. უძინართა; 107. აი; 108. ოქრო; 109. მედინა; 110. ლომი; 111. რედიკიული; 112. „რომენი“; 113. ნიორაძე; 114. არ; 115. კოტე; 116. მელანი; 117. მარინადი; 118. ენგ; 119. კოკი; 120. გვირილა; 121. იაკი; 122. თასი; 123. და; 124. აკაკი; 125. ენა; 126. ვედრო; 127. წერო; 128. გაგრა; 129. ავენიუ; 130. უნდა; 131. ომი; 132. თითა; 133. ოყა; 134. ბანდა; 135. ოდა; 136. გუნდა; 137. დრო; 138. აკიდო; 139. სარაბანდა; 140. ქვირითი; 141. ცა; 142. იარდი; 143. პა; 144. მარია; 145. დელ. იკითხება: ქრიზანთემა.

## იცით, რისგან შედგება ჩვეულებრივი პროდუქტები?

ყველაზე ჩვეულებრივი პროდუქტები, რომლებსაც ყოველდღე მივირთმევთ, ზოგჯერ ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, წარმოდგენაც კი რთულად თუ ვინმეს შეუძლია.

გამოგიტყდებით და კინაღამ ჭკუიდან გადავედით, როცა ინტერნეტში ეს ერთგვარი რეიტინგი ვიპოვეთ, თუმცა რას ვიზამთ, საკვები პროდუქტების მწარმოებლები რომ მამა აბრამის ბატკნები არ არიან და ხშირად სცოდავენ, კი არის დამტკიცებული ფაქტი, თანაც მრავალგზის.




– დრაჟე – გლაზურით დაფარული კამფეტები, პრინციპში, საკმაოდ გემრიელად გამოიყურება და ძალიან ბევრ ადამიანს უყვარს მათი დაგემოვნება. ერთი ეგ ერის, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ გლაზური კონკრეტული სახეობის... მწერების პარკებისგან მზადდება. მიღებული ნივთიერება, ცნობილი, როგორც შელაკი, ანუ საკვები დანამატი „ე-904“ კამფეტს ბზინვარებას მატებს, თითქოს, ის ორი წამის წინ საგულდაგულოდ გააპრიალა.




– ვანილის ნაყინი – ძალიან ბევრის საყვარელ ნუგბარში არომატული დანამატი კასტორეუმი შედის. ნივთიერების მოპოვებაც თახვის ერთ-ერთი ორგანოდან ხდება, რომელიც მის უკანა ტანთან ახლოს პატარა ტომსიკებში გროვდება. რამდენად მართალია ეს ფაქტი, ვერაფერს ვამტკიცებთ, თუმცა საქმეში ჩახედული ხალხი ასე ამბობს და რა გითხრათ, აბა? სხვათა შორის, იგივე ნივთიერება გამოიყენება ძვირფასი სუნამოების დამზადებისთვის, რათა პარფიუმს უფრო მდგრადი სურნელი ჰქონდეს.

– შაქარი – შაქრის გასაწმენდად ხშირად გამოიყენება ფილტრი, რომელიც ცხოველების ძვლის ნახშირისგან მიიღება. როგორც ამბობენ, ძვლის ნახშირი ყველაზე ეფექტურად აცილებს შაქარს ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე ამინომჟავებს, ორგანულ მჟავებს, ფენოლს და ასე შემდეგ.




გეტყვით იმასაც, რომ ძვლის ნახშირის მისაღებად გამოიყენება მსხვილფეხა საქონელი, რომელიც ბუნებრივი სიკვდილით კვდება. ძირითადად, „ნედლეული“ იყიდება ბრაზილიაში, ინდოეთში, მაროკოში, ნიგერიასა და პაკისტანში.

– საღეჭი რეზინი – კევის შემადგენლობაში ხშირად შედის ლანოლინი, იგივე საკვები დანამატი „ე-913“. ეს არის ცხოველური წვენი, რომელიც რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ცხვრის მატყლისგან მზადდება და საღეჭი რეზინის დასარბილებლად გამოიყენება.




– წითელი და ვარდისფერი საკვები – ბუნებრივი წითელი ფერი მხოლოდ ხილ-ბოსტნეულს აქვს. დანარჩენი ნებისმიერი პროდუქტი ხელოვნურად იღებება კარმინის მეშვეობით. ეს არის ნივთიერება, რომელიც გამომშრალი და გამხმარი მწერისგან მიიღება, სახელწოდებით – კოშენილი. ამ სახეობის მწერების მდედრები კარმინის მჟავას გამოიმუშავებენ, რომელიც ღებავს კიდეც პროდუქტს წითლად. კარმინი ასევე ცნობილია, როგორც საკვები დანამატი – „ე-120“.

– პური – სხვა დანარჩენი კარგი, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, პურის დამზადების დროსაც თუ ხდებოდა რაიმე უცნაურობის გამოყენება, თუმცა შევცდით. აღმოჩნდა, რომ ბევრი საცხობი ნაწარმის დარბილებისთვის სპეციალურ კომპონენტს იყენებს, სახელწოდებით ელ-ცისტეინი, რომელიც ხშირად, ადამიანის თმისგან ან იხვის ბუმბულისგან მიიღება.




– ქათმის კერძები ფასტფუდიდან – სწრაფი კვების პრაქტიკულად ყველა რესტორანი იყენებს გადამუშავებულ ქათამს სხვადასხვა კერძის დასამზადებლად. ამისთვის ქათამს ხორცსაკეპში ძვლიან-ნაწლავიანად უშვებენ. შედეგად მიიღება სუბსტანცია, რომელიც პასტას წააგავს. გემოს გასაუმჯობესებლად მას ხელოვნურ არომატიზატორებს ამატებენ, ბუნებრივი ფერისთვის კი – საღებავებს.

**1001facts.info**

## ინგლისში გაასამართლეს მამაკაცი, რომელმაც შეყვარებულს თვალები... ამოთხარა



სასამართლომ მას უვადო პატიმრობა მიუსაჯა და ძალიანაც კარგად მოიქცა!

როგორც ირკვევა, ინგლისში გაასამართლეს მამაკაცი, რომელმაც შეყვარებულს თვალები შიშველი ხელებით ამოთხარა.

კამათის დროს შეინ ჯენკინსმა არნახული სისასტიკე გამოიჩინა და შეყვარებულს ჯერ ყბები დაუმტვრია, ცხვირი გაუტეხა და ბოლოს თვალები დასთხარა.

ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ტინა ნეშს ერთ თვალს მაინც გადაურჩენდნენ, თუმცა, სამწუხაროდ, მათ მცდელობას შედეგი არ მოჰყვა – გოგონა სამუდამოდ დაბრმავდა.

სასამართლოს დასრულების შემდეგ, ტინა ნეშმა განაცხადა, რომ ამ დღეს მთელი წელი ელოდა. მისივე თქმით, ჩხუბის დროს შეინ ჯენკინსი სრულ ჭკუაზე იყო, არ ყოფილა ნასვამი და კარგად აცნობიერებდა, რასაც სჩადიოდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეინ ჯენკინსი მთელ ცხოვრებას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარებს.

**gazeta.ua**

## საუკეთესო გასართობი რადიო გადაცემისთვის პრიზი... პენსიონერებს გადაეცათ



თუკი იმ ლოგიკას მივყვებით: „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო“, გამოდის, რომ სწორედ ასაკოვანმა ხალხმა იცის, როგორ მოიქცეს ნებისმიერ სიტუაციაში და რა შესთავაზოს ამ შემთხვევაში, რადიომსმენელს.

ყოველ შემთხვევაში, დიდ ბრიტანეთში მომხდარი ფაქტი სწორედ ამაზე მეტყველებს, რადგან საუკეთესო გასართობი რადიო გადაცემისთვის პრიზი მიიღეს არა თინეიჯერებმა ან ახალგაზრდებმა, არამედ 90 წლის ბეტი სმიტმა და 86 წლის ბერილ რენუიკმა.

სწორედ ეს ორი ადამიანი განიხილავს კვირაში ერთხელ ახალგაზრდა თანაწამყვან დევიდ რივზთან ერთად გასული დღეების მთავარ მოვლენებს და ასევე, მუსიკალურ სიახლეებს.

დევიდ რივზმა მხიარული და კრეატიული მოხუცები 2006 წელს მაშინ აღმოაჩინა, როცა ისინი რადიოში ექსკურსიაზე იყვნენ მისულები.

– მათ ყველაზე კარგად იციან, რა მუშაობს მედიასამყაროში და რა არა, – ასე დაახასიათა სოლიდურ ასაკში კარგა ხნის წინ გადაბიჯებული წამყვანები „სონი რადიო ავარდსის“ ჟიურიმ.

რა გადაეცათ კრეატიულ ბებიებს პრიზად, სამწუხაროდ, არ ზუსტდება, თუმცა მათი ასაკიდან გამომდინარე, მთავარი, ალბათ, მაინც ასეთი დაფასება და ყურადღებაა.

**lenta.ru**

## მეცნიერებმა განსაზღვრეს, რა დროს უნდა მოხიბლოს მამაკაცმა ქალი



რამდენი წვალება უნდა ქალის მოხიბვლას, გეცოდინებათ, ალბათ – ეს სიურპრიზებიო, ის გიჟური საქციელებიო, აქეთ უნდა ეცე, იქითაც უნდა ეცე, დაიგლიჯო ნერვები და... დაქორწინდე. ნუ, გაგრძელებას ყველა ინდივიდუალურად ირჩევს, ალბათ.

მოკლედ, ამ ტანჯვა-წვალებაში ცოტათი მაინც თუ დაგეხმარებათ ბრიტანელი მეცნიერების კვლევის შედეგი, ძალიან გაგვიხარდება.

როგორც ირკვევა, ნისლიან ალბიონზე დაადგინეს, რომ თურმე, ქალები სიყვარულისკენ განსაკუთრებით მიდრეკილები შაბათ დღეს 23:00 საათის შემდეგ არიან.

სწორედ ასეთი შედეგები მიიღეს ბრიტანელმა მკვლევარებმა ჩატარებული გამოკითხვის შედეგად.

ზუსტად რა ახდენს გავლენას ამ უჩვეულო კანონზომიერებაზე, კვლევის ავტორები ვერ ხსნიან, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს – მიზნისკენ ნახევარი ნაბიჯი ხომ მაინც გადადგმულია, როცა იცით, როდის შეუდგეთ ინტერესის ობიექტის მოხიბვლას? ჰოდა, სასურველი ქალის გულისკენ ნაბიჯით იარ!!!

**tainamira.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



კოტე ძმაკაცს ელაპარაკება:

– ძალიან მაგრად მინდა, უზარმაზარი განძი ვიპოვო, ოღონდაც, სულ განავლით სავსე!

– განავლით რატომ?!

– უდიდესი სიამოვნებით მივცემდი 75 პროცენტს მთავრობას!!!

*****

პატარა კოტე ქუჩაში დგას და სიგარეტს ეწევა. მიუახლოვდა ქალი:

– ბიჭუნა, შენმა მშობლებმა იციან, სიგარეტს რომ ეწევი?

– და თქვენმა ქმარმა იცის, ქუჩაში რომ უცნობ მამაკაცებს ელაპარაკებით?!

*****

კლასიკური სიტუაცია: ცოლი გადაღლილ საყვარელთან ერთად საწოლში ნებივრობს. მოულოდნელად ქმარი ბრუნდება. ცოლი საყვარელს უყვირის:

– ძვირფასო! დაუმტკიცე, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ!

საყვარელი:

– რა, მასაც?!

*****



– მამიკო, ძაღლი ვიყიდოთ რა.

– არა, შვილო!

– აუ, გეხვეწები, ვიყიდოთ რა ძაღლი.

– არა-მეთქი, გამორიცხულია!

– გემუდარები, ვიყიდოთ ერთი ძაღლი...

– არა, ჩემო კიმ ლუ ჩენ, არ გვაქვს ოჯახში იმის ფუფუნება, რომ ყოველდღე ხორცი ვჭამოთ!!!

*****

ადამიანის ზრდის სტადიები:

1. ეშინია ფილმების ფრედი კრიუგერზე;

2. იცინის ფრედი კრიუგერის ფილმებზე;

3. ეთანხმება ფრედი კრიუგერს!..

*****

გასაუბრება:

– დაგვისახელეთ თქვენი ძლიერი მხარეები.

– შეუპოვრობა.

– გასაგებია. განვიხილავთ თქვენს კანდიდატურას და დაგიკავშირდებით.

– აქ დაგელოდებით!..

*****

სიბერე – როცა ცოლს აბაზანიდან იმისთვის ეძახი, რომ ზურგი გაგიხეხოს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

სტუდია „პიონერფილმი“ ღრმა მწუხარებით იუწყება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ამაგდარი ქალბატონის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის

**ლეილა კაკაურიძის**

გარდაცვალებას.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ინტერნეტში გამოჩნდა საიტი, რომელიც საკუთარ თავს... დაგაშანტაჟებინებთ




თუკი ხშირად ხდება ისე, რომ გარკვეულ სირთულეებს აწყდებით პირადი მიზნების მიღწევისას, ამ დროს კი გადასარევად აგვარებთ სამსახურში თუ სასწავლებელში მიღებულ დავალებებს, დიდია ალბათობა, რომ პრესინგი გაკლიათ. ისიც მართალია, რომ ადამიანთა უმრავლესობას საშინლად არ უყვარს, როცა ვინმე მათზე ზეწოლას ახდენს, მაგრამ, როგორც წესი, სწორედ „დაცაცხანება“ ხდება ერთგვარი მოტივატორი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ კარგად გვეხმარება.

ყოველთვის იმას ვცდილობთ, პროდუქტიულად ვიმუშაოთ და ამასთანავე, ხელმძღვანელობის მიერ მითითებულ დროში ჩავეტიოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ნეგატიური შედეგები: ხელფასის შემცირება ან უფრო უარესი – სამსახურიდან დათხოვნა. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, აქ უკვე ფაქტობრივად, არასოდეს ვაწყდებით ზეწოლას და ალბათ, ამიტომაა, რომ ვერ ვაღწევთ ისეთ უბრალო მიზნებს, როგორიცაა მაგალითად, წონაში დაკლება, სიგარეტის გადაგდება, ან უბრალოდ, ფულის დაზოგვა.

ალბათ, სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ახალგაზრდა პროგრამისტებმა აამოქმედეს ონლაინ-სერვისი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, საკუთარი თავი დააშანტაჟოს. მოკლედ, ის, რაც დასაწყისში მეგობრებისთვის სახუმარო თამაში იყო, შესაძლოა, სულ მალე ერთ-ერთ პოპულარულ ვებ-პროგრამად იქცეს.

როგორ მუშაობს საკუთარი თავის შანტაჟის საიტი? დასაწყისისთვის აუცილებელია საიტზე „ფეისბუკის“ პირადი გვერდიდან შესვლა, შემდეგ საკუთარი თავისთვის მიზნისა და მისი შესრულების საბოლოო ვადის დასმა, ბოლოს კი საკუთარი თავის მაკომპრომეტირებელი ფოტოების ჩატვირთვა. ეს ინფორმაცია ავტომატურად ხილული გახდება „ფეისბუკის“ მეგობრებისთვის და როცა თქვენ მიერ დათქმული ვადა ამოიწურება, მათში გაიმართება გამოკითხვა, რამდენად წარმატებით შეასრულეთ დაპირება. იმ შემთხვევაში, თუკი მეგობრები გადაწყვეტენ, რომ ჩაფლავდით, თქვენი „სასირცხვილო“ ფოტო ავატარად თავისით დაყენდება.

როგორც ამბობენ, საიტს უკვე ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს და ახალგაზრდებში სულ უფრო პოპულარული ხდება.

*drunov.ru*

## შვედი ფოტოგრაფი მოდელებად... მკვდარ ბუზებს იყენებს



თუკი ბავშვებისთვის საპატიოა მკვდარ მწერებთან თამაში, ასეთ გართობაზე ზრდასრული ადამიანის წასწრება საკმაოდ უცნაურია. ამის მიუხედავად, ძალიან ბევრს მოსწონს შვედი ფოტოგრაფის მაგნუს მურის ნამუშევრები, რომელიც იღებს მკვდარ ბუზებს, დებს ქაღალდზე და რამდენიმე შტრიხით მათ „სიცოცხლეს უბრუნებს“.



მაგნუს მურის ფოტოებზე მწერები მაქსიმალურად ემსგავსებიან ადამიანებს: ექვსის ნაცვლად, მათ ოთხი კიდური უჩნდებათ, აკეთებენ იმავეს, რასაც ადამიანი: ლაპარაკობენ, საჭმელს ამზადებენ, მზეს ეფიცხებიან, სპორტს მისდევენ.

39 წლის მაგნუს მური პატარა ქალაქ კორლსოგში ცხოვრობს და ფსიქიკურად ავადმყოფ პაციენტებს უვლის, თუმცა იმისთვისაც პოულობს თავისუფალ დროს, რომ უჩვეულო ფოტოები გადაიღოს.

*rokf.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**16 ოქტომბერი:** შესაძლოა, სწორი არჩევანი გააკეთეთ, მაგრამ ამაში ვერ დარწმუნდებით, სანამ არჩეული მიმართულებით მოძრაობას არ დაიწყებთ.

**კურო 22.04-21.05**
**16 ოქტომბერი:** თუ აკრძალული წესების დარღვევას გადაწყვეტთ, მზად იყავით იმისთვის, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვა. ნუ მოკიდებთ დღეს ხელს იმ საქმეს, რომელშიც ძლიერი არ ხართ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**16 ოქტომბერი:** შეიძლება მთელი დღე მოძრაობაში გაატაროთ, თანაც, გაურკვეველი მიზნით. კარგია, საკეთებელს რომ ეძებთ, მაგრამ იქნებ ჯერ სამოქმედო გეგმა შეგედგინათ?

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**16 ოქტომბერი:** სავარაუდოდ, დღეს რომელიღაც ახლობელზე ზრუნვაში საკმაო დროსა და ენერგიას დახარჯავთ. დამღლელი საქმეა, მაგრამ კეთილშობილური.

**ლომი 23.07-22.08**
**16 ოქტომბერი:** ეს დღე უფრო განზოგადებული განსჯისთვის არის შესაფერისი, ვიდრე კონკრეტული ქმედებებისთვის. თუ მოქმედება მაინც მოგიწევთ, მეგობრები დაიხმარეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**16 ოქტომბერი:** დღევანდელ მოვლენათა მსვლელობაზე რაიმე სახით გავლენას ვერ მოახერხებთ. არც შეეცადოთ, ტყუილად დროსა და ენერგიას დახარჯავთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**16 ოქტომბერი:** თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე შეუვალი ლოგიკა იქნება. ოღონდ, იგივეს ნუ მოელით იმ ადამიანებისგან, ვისთანაც ურთიერთობა გექნებათ, გაწბილება გელით.

**მორიელი 23.10-21.11**
**16 ოქტომბერი:** შესაძლოა, დღეს სამყაროს საფუძვლიანი შეცნობა მოინდომოთ და ისეთი რამ აღმოაჩინოთ, დიდხანს სანანებელი გაგიხდეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**16 ოქტომბერი:** დღეს ვინმესთან რამეზე შეთანხმება ძალიან გაგიჭირდებათ. თუ მოლაპარაკებებს თქვენთვის მცირედი მნიშვნელობა მაინც აქვს, ხვალისთვის გადადეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**16 ოქტომბერი:** ყველაზე ჩვეულებრივი საკითხებიც კი რთული მოგეჩვენებათ, რთული კი – მარტივი. დროა, გლობალურ საქმეებს მიხედოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**16 ოქტომბერი:** სრულიად შემთხვევით, თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ, შეიძლება აგრესიული გახდეთ. ფრთხილად იყავით, უპატიებელი არაფერი ჩაიდინოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**16 ოქტომბერი:** თითქმის ყველაფერი გაგაკვირვებთ და თითქმის ყველაფერზე კითხვები გაგიჩნდებათ. შეიძლება ამის გამო, ვერ გაგიგონ, სამაგიეროდ, რაღაც ახალს გაიგებთ.

## „გაუზრდელი შუქნიშნები“ ქვეითებს უწმაწურ ჟესტებს აჩვენებს



სამწუხაროდ, ხანდახან თენდება ხოლმე ისეთი დღე, როცა გგონია, რომ მთელი სამყარო დაგიპირისპირდა და საშინლად წარუმატებელი ხარ. მაგალითად, სულ რამდენიმე წამით ვერ მიუსწრებ ავტობუსს, ვიღაც გიჟი მძღოლი ისე ჩაგიშხუილებს, ბინძური გუბის წყლით გაგწუწავს, შუქნიშანი კი შუა თითს დაგანახებს...

ეს უკანასკნელი რომელიღაც კომედიური ფილმის კადრს უფრო ჩამოჰგავს, თუმცა თქვენ წარმოიდგინეთ, რეალობასთან გვაქვს საქმე.

როგორც ირკვევა, ასეთი „გაუზრდელი შუქნიშანი“ ამერიკაში, კერძოდ კი ტეხასის შტატის ქალაქ ამარილოში ყოფილა.

საქმე ისაა, რომ ტექნიკური პრობლემის გამო (ან ვინმეს ბოროტი ხუმრობის გამო, ეს ჯერ უცნობია), ქალაქში დადგმული რამდენიმე შუქნიშანი ამკრძალავი ნიშნის – წითელი ფერის ხელისგულის ყველა მონაკვეთს ველარ ანათებს, გარდა შუა თითის ადგილისა.

ჰოდა, ესეც თქვენი „გაუზრდელი შუქნიშანი“!

ქალაქის ხელისუფლება ამბობს, რომ ამ დროისთვის უკვე შეკეთებულია მინიმუმ 6 ასეთი შუქნიშანი, თუმცა პრობლემა ბოლომდე ჯერჯერობით არ მოგვარებულა.

*etotupo.ru*

## არ გინდათ, მეზობლებს ინტერნეტი გაუყოთ? გამოცვალეთ შპალერი



არა, „ჟმოტობაში“ ბრალს ვერავინ დაგდებთ, გამორიცხულია, რადგან ინტერნეტში ფულს თქვენ იხდით და გინდათ, რომ კომპიუტერთან ნორმალურად იმუშაოთ ან იმაიმუნოთ, ვისი რა საქმეა?! ჰოდა, როცა თქვენს ნაყიდ ინტერნეტს მეზობელი დაიჭერს კედლის მეორე მხარეს, სიჩქარე დაეცემა, აბა, რა იქნება? მით უმეტეს, დიდად ვერ დაიკვეხნის ქართველი პროვაიდერების ინტერნეტი!

მოკლედ, თუკი არ გინდათ, რომ მეზობლებს ინტერნეტი გაუყოთ, შპალერის გამოცვლა და ფრანგების გამოგონილი ტექნოლოგიის გამოყენება მოგიწევთ, რომელიც ვაი-ფაის სიგნალს ბლოკავს და ოთახიდან არსად უშვებს.

ტექნოლოგია ისეა მოწყობილი, რომ ის ბლოკავს მხოლოდ არჩეულ სიხშირეს და თავისუფლად ატარებს, მაგალითად, მობილურის ან რადიომიმღების ტალღებს.

სიახლის ავტორების განმარტებით, შპალერზე დატანილია სპეციალური ელექტროგამტარი მელანი, რომელსაც ვერცხლის კრისტალები აქვს დამატებული. მართალია, ამის გამო მისი ღირებულება საგრძნობლად მაღალია, თუმცა რაღაც თქვენც ხომ უნდა დათმოთ, არა?..

*utro-russia.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



უკიდეგანო პრერიებში ბელადი მიაჭენებს. უეცრად ხედავს – გზაზე ინდიელი, „წითელი მზე“ წევს და ყური მიწაზე აქვს მიბჯენილი.

– რას აკეთებ, „წითელო მზეო“?

– ბელადო, გზაზე დიდი ოთხთვალა მიდის, თეთრი ადამიანებით სავსე. ყველას იარაღი აქვს. დაახლოებით 10 ადამიანია. ერთ-ერთი მელოტი და მსუქანია. ოთხთვალას უკანა ბორბალი უჭრაჭუნებს. ცხენები ორია: ერთი თეთრი, მეორე – შავი...

– „წითელო მზეო“, საიდან გაიგე ეს ყველაფერი, ნუთუ მიწის ბიძგებისგან?!

– არა, ბელადო! მაგ დამპლებმა ეს არის, ზედ გადამიარეს!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჟაჟვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.50